ეკონომიკა

№12
ფასი 50 თეთრი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს | 18-19 დეკემბერი | 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასობრივი პრივატიზაციის პროცესების გეგმაზომიერი განვითარების, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების შემდგომი რეალიზაციის მიზნით

ვბრძანებ:

1. მოქმედი წესით დამტკიცდეს იმ სააქციო საზოგადოებათა თანდართული ჩამონათვალი, რომელთა აქციების (აქციათა პაკეტების) პრივატიზება გათვალისწინებულია №7 სპეციალიზებულ აუქციონზე (დანართი №1);

1.1. აუქციონზე გადახდის საშუალებად მიიღება ეროვნული ვალუტა (ლარი) და გადახდილი თანხა უნდა იყოს 21 აშშ დოლარის ან მისი ჯერადის ექვივალენტური ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

2. აუქციონზე გასაყიდი აქციათა განლაგების და სააქციო საზოგადოებების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დამატებითი, ამომწურავი ინფორმაცია მყიდველებმა შეუძლიათ მიიღონ უშუალოდ სააქციო საზოგადოებაში, ნუსხაში მითითებულ მისამართზე.

2.1. სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი ვალდებულია შეუფერხებლად უზრუნველყოს მყიდველებისათვის აუცილებელი ინ-

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

ბრძანება №1-3919

1996 წლის 16 დეკემბერი — თბილისი

№7 სპეციალიზებული აუქციონის ნუსხის დამტკიცების შესახებ

ფორმაციის გაცნობა და მას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ინფორმაციის სისწორეზე.

3. დაევალოს 1996 წლის №1-3/430 ბრძანებით სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების (აქციათა პაკეტების) მართვის უფლებით გადაცემის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კომისიას (თავმჯდომარე ბ-ნი ე. ჯულელი) უზრუნველყოს აუქციონების დადგენილ, ამ ბრძანებაზე თანდართულ ნუსხაში მითითებულ ვადაში ჩატარება არსებული წესების შესაბამისად.

4. სპეციალიზებულ აუქციონში მონაწილეთა განცხადების მიღება განხორციელდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში და შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში სააქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით.

4.1. დაევალოს ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველოს (ბ-ნი ვ. ჩხაიძე) და სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს შემოსული განცხადების აღრიცხვა აწარმოონ ამ მიზნით გახსნილ, სპეციალურ, ფურცლებ დანომრილ, ზონარგაყრილ და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

4.2. სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები, განაცხადების მიღების დამთავრების შემდეგ არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღის ვადაში, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში წარმოადგენენ ტერიტორიული ორგანოს ბეჭდით დამოწმებულ ინფორმაციას ადგილზე მიღებული განაცხადების და გადახდილი თანხების შესახებ დადგენილი ფორმით.

ინფორმაციის წარდგენა სამინისტროში აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილზე განაცხადები არ იყო შეტანილი.

დადგენილი ვადის დაგვიანებით წარმოდგენილი ინფორმაცია არ განიხილება, აუქციონის შედეგების გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება და პასუხისმგებლობა განმცხადებლის წინაშე დაეკისრება სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს.

5. დაევალოს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (ბ-ნი მ. გაბუნია) 1996 წლის 18 დეკემბრამდე უზრუნველყოს ამ დადგენილებაზე თანდართული ნუსხის შესახებ ინფორმაციის გაზეთ "საკუთრე"-ში გამოქვეყნება.

6. აქციების (აქციათა პაკეტების) შესაძენად საჭირო თანხების გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიმდინარე ანგარიშზე №001141776, მფო 521017 სააქციო-კომერციული ბანკის "საქართველოს ბანკი"-ს სათაო განყოფილებაში ან სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების მომსახურე საბანკო დაწესებულებებში სააქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით.

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ბატონ ე. ჯულელს.

მინისტრი ა. სილაგაძე

მსოფლიოში აღარ დავობენ იმაზე, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა

საქართველოში გზების პრობლემა ყოველთვის მწვავედ იდგა და მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ამდენად, ინტერესმოკლებული არ იქნება კონცერნ "საქავტოგზის" თავმჯდომარის ბ-ნ ბორის სალარიძის შეხედულებები ამ დარგში ამჟამად მიმდინარე მოვლენებზე.



- რა მდგომარეობაშია ამჟამად საქართველოს გზები?

- ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა პრობლემებმა საავტომობილო გზების ხარჯების დაფინანსებაშიც ჰპოვა ასახვა. 1990 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხებმა ყოველწლიურად იწყო კლება და მან 1994 წელს საჭიროების მხოლოდ 0,5% შეადგინა. ცხადია, ასეთ პირობებში რაიმე სერიოზული სამუშაოების წარმოება გზებზე შეუძლებელი გახდა, რის გამოც საავტომობილო გზების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, მწყობრიდან გამოვიდა მაგისტრალური და რესპუბლიკური მნიშვნელობის თითქმის ყველა ქსელი. ამას დაერთო 1991-1994 წლების ცნობილი მოვლენები (საომარი მოქმედებები, სტიქიური უბედურებები და სხვ.), რამაც თითქმის კატასტროფის წინაშე დააყენა სახელმწიფო საავტომობილო გზების მთელი ქსელი, რომლის საერთო სიგრძე 6200 კმ-ია.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა 16500 კმ საერთო სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, რომელთა დაფინანსების წყაროს წარმოადგენს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობის თანხები, რომლებიც შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე,

(გაგრძელება მე-2 გვ.)

საქართველოს 1996 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშებზე მიღებული სახსრების საერთო მოცულობამ 1996 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 433,7 მილიონი ლარი.

აქედან 165,7 მილიონი ლარი არის საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული სესხი, 37,7 მილიონი ლარი მსოფლიო ბანკიდან მიღებული კრედიტი და 15,1 მილიონი ლარი თავისუფალი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი.

ცენტრალური ბიუჯეტის საკუთარმა შემოსავლებმა და გრანტებმა შეადგინა 215,2 მილიონი ლარი.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული სახსრების სპეციალურ ანგარიშზე არსებულ 8,0 მილიონი ლარის, ევროგაერთიანების საპარტნიორო ფონდის სპეციალურ ანგარიშზე მიღებული შემოსავლების - 13,0 მილიონი ლარის და ჰოლანდიური გრანტის - 6,1 მლნ ლარის ჩათვლით ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების ფაქტიური მოცულობა (სესხების გარეშე) შეადგენს 242,3 მილიონ ლარს.

დეკემბრის თვეში მიღებული საკუთარი შემოსავლების მოცულობამ პრივატიზაციიდან მიღებული სახსრების სპეციალურ ანგარიშზე და საპარტნიორო ანგარიშზე და გრანტების სახით მიღებული შემოსავლების ჩათვლით შეადგინა 5,5 მილიონი ლარი, ანუ დღეში 588 ათასი ლარი.

საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით დაზუსტებული საგეგმო მაჩვენებლების შესაბამისად მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებული უნდა იქნეს 32,1 მილიონი ლარი. დღეისათვის ფაქტიურად მობილიზებულია 5,5 მლნ ლარი, ანუ ამ პერიოდის საგეგმო მაჩვენებლის 42,0%. დეკემბრის 9 სამუშაო დღის მიხედვით საშუალო დღიურმა შემოსავლებმა შეადგინა 0,6 მილიონი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ თუ გავითვალისწინებთ საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციაში წლის ბოლომდე დასახულ მისაღწევ დონეს. საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მიერ ყოველდღიური მობილიზაციის მოცულობა წლიური საგეგმო მაჩვენებლების შესრულების მიზნით უნდა შეადგენდეს 3,0-3,5 მლნ ლარს. დეკემბრის თვეში დარჩენილ 13 სამუშაო დღეში ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებული უნდა იქნეს საგადასახადო შემოსავლების

(დასასრული მე-6 გვ.)

ნომერში:

საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა — გვ.1-2-3

«შავი ოქრო» ეკონომიკური ძლიერების გარანტია — გვ.6

მოსალოდნელია ლარის კურსის გამყარება — გვ.6

მევახშე და მასთან «თამაშის წესები» — გვ.7



პრემია ზედიზედ დაიმსახურა — გვ.8

ნომერში:

მსოფლიოში აღარ დავობენ იმაზე, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა



(გაგრძელება)

თითქმის ნულამდე დაეცა და ამ გზების უმეტესობაზე გავლაც კი შეუძლებელი გახდა, ხოლო ზოგიერთი მონაკვეთი საერთოდ ჩაიკეტა. არადა ამ გზებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის შიდა სამეურნეო და სხვა კავშირურთიერთობებისათვის, რადგან ქვეყნის გეოგრაფიულად რთული რელიეფიდან გამომდინარე, საავტომობილო გზები წარმოადგენენ სოფლების გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ერთადერთ საშუალებას.

- გამოსავლის პოვნა როგორაა შესაძლებელი?

- ყველივე ზემოთაღნიშნულმა აუცილებელი გახადა მოგვეძებნა დაფინანსების სხვა საშუალებები, რაც საავტომობილო გზებს ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანდა.

ქვეყნის პრეზიდენტის თანხმობითა და მისივე მხარდაჭერით მსოფლიოსა და თანამეგობრობის ქვეყნებში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით მომზადდა და პარლამენტის მიერ 1995 წლის 2 სექტემბერს მიღებულ იქნა კანონი "საგზაო ფონდის შესახებ". ფაქტიურად კანონი სრულყოფილად მიმდინარე წლის დასაწყისიდან ამოქმედდა და დღეს უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან საკითხის კიდევ ცოტა ხნით გადავადება საავტომობილო გზებისათვის უკვე კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა.

1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საგზაო ფონდის შემოსავლები დაგეგმილი იყო 11,5 მლნ ლარის ოდენობით. 1 დეკემბრის მდგომარეობით საგზაო ფონდის ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 16,1 მლნ ლარი, ე. ი. დაგეგმილზე 3,6 მლნ ლარით მეტი. წლის ბოლომდე მოსალოდნელია კიდევ 1 მლნ ლარის შემოსვლა. გარდა ამისა, ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან გათვალისწინებული იყო დამატებით 6 მლნ ლარის გამოყოფა, საიდანაც დღემდე მიღებულია მხოლოდ 3,2 მლნ ლარის დაფინანსება.

აღნიშნული ფინანსური რესურსებით საშუალება მოგვეცა, მიმდინარე წელს ქვეყნის საავტომობილო გზებზე გვწარმოებინა მნიშვნელოვანი მოცულობის სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები.

- დღეს ჩვენი გზები არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია.

- მთლიანად ჩაუტარდა ორმოული შეკეთება მაგისტრალური მნიშვნელობის შემდეგ საატომობილო გზებს: თბილისი-სენაკი-ფოთი, ფოთი-ბათუმი-სარფი, სამტრედია-საჯავახო-ლანჩხუთი, ხაშური-ახალციხე, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსი, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი, თბილისი-მარნეული-სადახლო, და სხვ. გარდა ამისა, ამავე გზების ზოგიერთ მონაკვეთზე ჩავატარეთ ასფალტბეტონის ფენის განახლების სამუშაოები. თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის გორი-ხაშურის მონაკვეთზე - 2კმ, ხაშური-რიკოთის მონაკვეთზე - 1,5 კმ, რიკოთი-ქუთაისის მონაკვეთზე - 8 კმ, სენაკი-ფოთის გზის ჭალადიდ-ფოთის მონაკვეთზე - 9 კმ, ხოლო სამტრედია-საჯავახო-ლანჩხუთი-სუფსის გზის 2 კმ-იანი მონაკვეთი ფაქტიურად ახლიდან აშენდა - განახლდა გზის ქვედა ფენა, მოეწყო სადრენაჟო სისტემა და ორფენიანი ასფალტბეტონის საფარი.

- რიკოთის გვირაბზე რას იტყვით, რომელიც ფაქტიურად მუდმივ რემონტშია?

- დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა რიკოთის საუელტეხილო გვირაბში, რომელიც საომარი მოქმედების პერიოდში მთლიანად გაიძარცვა და მასში მოძრაობა თითქმის შეუძლებელი იყო. გვირაბში მთლიანად აღდგა ელექტრომეურნეობა. საკენტილაციო, განათების, სადრენაჟო და სხვა სისტემები. სავალ ნაწილზე დაიგო ახალი ასფალტბეტონის საფარი. ძალზე სერიოზული პრობლემა იყო გვირაბში წყლის ჩამოდინების აღკვეთა, რაც თავდაპირველი მშენებლობის წუნისა და შემდგომი ცუდი ექსპლუატაციის პირობებში საშიში დეფორმაციების განვითარების საფრთხეს ქმნიდა. ჩვენს გვირაბმშენებლებთან კონტაქტში მოიძებნა სპეციალიზებული ორგანიზაცია, რომელმაც ურთულეს პირობებში გვირაბის ყველაზე მძიმე უბნებზე შეასრულა თაღის ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები კანადური ტექნოლოგიითა და მათივე მასალებით. ამ ტექნოლოგიის გამოყენების პრეცედენტი უკვე არსებობდა მოსკოვის მეტროპოლიტენში. სულ მთლიანად გვირაბის შეკეთებაზე დაიხარჯა 1,2 მლნ ლარი და მასში 1 დეკემბრიდან მოძრაობა აღდგენილია.

სარემონტო სამუშაოები გვირაბში მთლიანად ჯერ არ დამთავრებულა და ისინი მომავალ წელსაც გაგრძელდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საავტომობილო გვირაბის შენახვას და მის ექსპლუატაციას სჭირდება დიდძალი სახსრები, რისთვისაც 1994 წლიდან გვირაბში, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, შემოღებული იქნა გვირაბით სარგებლობის გადასახადი, რომელიც მიმდინარე წელს, ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, გვირაბის შენახვის ხარჯების გაზრდიდან გამომდინარე, გაიზარდა. შემოსული სახსრები ძირითადში დაფარავს გვირაბის საექსპლუატაციო ხარჯებს.

- ასევე არასახარბიელო მდგომარეობაშია ქვეყნაში არსებული ხიდებიც.

- დამთავრდა 106 მეტრიანი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა ქ. ამბროლაურში, რითაც შეერთდა წლების მანძილზე ორად გაყოფილი ქალაქი. ხიდის მშენებლობაზე დაიხარჯა 1,0 მლნ ლარამდე და ჩვენ უდიდეს მადლიერებას გამოვხატავთ მხარის ხელმძღვანელობისა და პირადად პრეზიდენტის რწმუნებულის, ბ-ნ თედო ისაკაძის მიმართ, რომელმაც ისედაც გაჭირვებულ პირობებში ხიდის მშენებლობისათვის მხარის ბიუჯეტიდან გაიღო წილობრივი მონაწილეობა 200 ათასი ლარის ოდენობით.

- საომარი მოქმედებების დროს არაერთი ხიდი საერთოდ გამოვიდა მწყობრიდან.

- ჩხოროწყუს რაიონში აფეთქებული ხიდის გვერდით მდინარე ცივზე ავაშენეთ 80-მეტრიანი კაპიტალური ახალი სახიდე გადასასვლელი, მდინარე მუნჩიაზე და მდინარე ხორგაზე აღვადგინეთ და განვაახლეთ ასევე აფეთქებული ხიდები, მდინარე ტეხურაზე აღვადგინეთ ომის დროს დანგრეული ხიდის ელემენტები, ხოლო წალენჯიხის რაიონში მდინარე მაგანაზე აფეთქებული ავარიული ხიდის გვერდზე დავიწყეთ და მომავალ წელს დავამთავრებთ ახალი 120-მეტრიანი კაპიტალური ხიდის მშენებლობას.

- სტიქიური უბედურებებიც თავის კვალს სტოვებს საგზაო მაგისტრალებზე.

- არ შეიძლება არ ვახსენოთ მესტიის რაიონში ჩატარებული სამუშაოები. მიმდინარეობს მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები ე.წ. "შავი ღელეს" მონაკვეთზე, რისთვისაც საგზაო ფონდიდან გამოვყავით დაფინანსება 300 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, რაიონში აღვადგინეთ რამდენიმე ხიდი. ჯვარი-მესტია-უშგულის გზა გაიწმინდა დიდი მოცულობის კლდის ჩამონაშალებისა და შავებისაგან. სულ სვანეთის რეგიონში ჩატარებულ სამუშაოებზე მ.წ. დაიხარჯა 400 ათასამდე ლარი.

სერიოზული სამუშაოები ჩატარდა გურიის მხარეში, სადაც გარდა საჯავახო-ლანჩხუთი-სუფსის გზისა, რომელზედაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, აღდგენილ იქნა საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზა. დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა ჩოხატაური-ბახმაროს გზაზე. აღდგენილ იქნა რამდენიმე სახიდე გადასასვლელი ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონებში. სულ მხარის საავტომობილო გზების წესრიგში მოსაყვანად საგზაო ფონდის ცენტრალური ანგარიშიდან დაიხარჯა 0,5 მლნ ლარამდე სახსრები.

იმერეთის რეგიონში შეკეთდა გომი-საჩხერე-ზესტაფონის გზა ჭიათურამდე, რომლის მეორე ნაწილი ჭიათურიდან ზესტაფონამდე დამთავრდება მომავალ წელს. აღდგენილ იქნა თერჯოლა-ტყიბულის, ქუთაისი-საირმის, სამტრედია-ვანის გზები, ნაწილობრივი აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა ქუთაისი-ალპანა-ამბროლაურის გზაზე. დავიწყეთ ქუთაისი-ხონის საავტომობილო გზის აღდგენაც, რომლის დამთავრებაც ფინანსების უკმარისობის გამო ვერ შევძელით და მას გავაგრძელებთ მომავალი წლიდან. ტყიბულის ქანაბირის აუზის განვითარების გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესასრულებლად ვაწარმოებთ სამუშაოებს ქუთაისი-ტყიბულის გზაზე, რომელიც მთლიანად იყო მწყობრიდან გამოსული, განსაკუთრებით გელათის მიდამოებში. ამ გზის 4 კმ-იან მონაკვეთზე იგება ახალი ასფალტბეტონის საფარი, ხოლო დანარჩენი მონაკვეთები შეკეთდება. სამუშაოები ამ გზაზე დამთავრდება მ.წ. ბოლომდე.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ქ. ქუთაისის მისასვლელ გზაზეც, რომელიც სახსრების უქონლობის გამო, 1990 წლიდან ფაქტიურად დაუმთავრებელი გაიშვა ექსპლუატაციაში და ინტენსიური მოძრაობის შედეგად თითქმის მთლიანად გამოსული იყო მწყობრიდან. წელს კი საშუალება მოგვეცა გაგვახლებინა მასზე სამუშაოები, რომლებიც ძირითადად უკვე დასრულდა და რომელზეც დაიხარჯა 1,5 მლნ ლარზე მეტი. ხოლო ამ სამუშაოების მთლიანად დამთავრება ნავარაუდევია მომავალი წლისათვის. საერთოდ ამ რეგიონში მიმდინარე წელს შესრულდება 0,5 მლნ ლარზე მეტი ღირებულების საგზაო სამუშაოები.

- ის ფაქტი თუ შეესაბამება სინამდვილეს, რომ საგზაო ნიშნებს იპარავდნენ და ჰყიდიდნენ?

- ბოლო წლებში შავი და ფერადი ლითონების საზღვარგარეთ გატანის ბუმმა ჩვენც საგრძნობლად დაგვაზარალა. გზებზე თითქმის აღარ დარჩა არც ერთი საგზაო ნიშანი, სადაც მიუწვდათ ხელი ხიდებზე, რიკოთზე, მიაჯირებიც კი მოხსნეს. მიმდინარე წელს საგზაო ნიშნები ნაწილობრივ აღვადგინეთ, მაგრამ ამ კუთხით კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ საქართველო-გერმანიის ერთობლივი საწარმო, სადაც გერმანული მხარე, მთლიანად თავისი სახსრებით, შემოიტანს და დაამონტაჟებს ახალ, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ საგზაო ნიშნების წარმოების ტექნოლოგიურ ხაზებს. მომავალი წლიდან ჩვენთვის, საქართველოს ქალაქებისათვის და ახლო მეზობლებისთვისაც კი შესაძლებელი იქნება მაღალხარისხიანი საგზაო ნიშნების სასურველი რაოდენობით შეძენა.

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან თუ არის მხარდაჭერა?

- მიმდინარე წელს საგზაო დარგის სისტემაში პირველად ტრანსპორტის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის კრედიტით, ვაწარმოებთ გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სამუშაოები პრაქტიკულად დაიწყო ივლისში და მათი განხორციელება ნავარაუდევი იყო 2,5-3 წლის განმავლობაში. ფაქტიურად კი, პროგრამის შესრულებას უზრუნველყოფთ მიმდინარე წლის ბოლომდე, ე.ი. ექვსი თვის ვადაში. ოქტომბრის თვეში ჩვენთან იმყოფებოდა მსოფლიო ბანკის მისია. მათ 5 დღის განმავლობაში შემოიარეს ყველა ის ობიექტი, სადაც კრედიტის ხარჯზე მიმდინარეობდა სამუშაოები და ნანახით დიდი კმაყოფილება გამოხატეს. განსაკუთრებულად მაღალი შეფასება მისცეს შესრულებულ სამუშაოთა მაღალ ხარისხს. ყველივე ეს იძლევა იმის გარანტიებს, რომ მომავალში მსოფლიო ბანკი უფრო სერიოზულ პროექტებს დააფინანსებს საგზაო დარგში. ზემოაღნიშნული კრედიტის საერთო ღირებულება შეადგენდა 4,9 მლნ დოლარს. აქედან 57%-ს, ანუ 2,8 მლნ დოლარს აფინანსებდა მსოფლიო ბანკი, ხოლო 43%-ს, ანუ 2,1 მლნ დოლარს საქართველოს წილი შეადგენდა. თუ ამას დავამატებთ პროექტის მოსამზადებელ სამუშაოებზე ჩვენს მიერ გაწეულ ხარჯებსაც დაახლოებით 300 ათასი ლარის ოდენობით, გამოდის, რომ პროექტის თითქმის ნახევარს ჩვენი წილი შეადგენს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ პროექტის განხორციელებით დარგში ბევრ ახლებურ მიდგომას ჩაეყარა საფუძველი. სამუშაოები მთლიანად საკონკურსო წესით შესრულდა. ამ კუთხით კონცერნს უკვე გააჩნია საკმაო გამოცდილება და ცოდნა. კონცერნში ჩამოყალიბდა სპეციალური საკონკურსო სამმართველო, რომელიც დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური კადრებით, ხოლო მომავალი წლიდან გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ყველა სერიოზული სამუშაო განვახორციელოთ მხოლოდ საკონკურსო წესით.

- მსოფლიო ბანკის გარდა სხვასთან თუ თანამშრომლობთ?

- სერიოზულად ვმუშაობთ საერთაშორისო საავლუტო ფონ-

(დასასრული მე-3 გვ.)

მსოფლიოში აღარ დავობენ იმაზე, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა



(დასასრული)

დთან, ევრობანკთან, ევროგაერთიანებასთან. ევროპულ და სხვა ფირმებთან, "ტასისის"-ის პროგრამით მომზადდა მთელი რიგი პროექტების პაკეტები და ითარგმნა ინგლისურ ენაზე. ახლახანს გვქონდა საქმიანი შეხვედრები იაპონურ ფირმა-კორპორაცია "იტოჩუ"-სთან. მათ მოიწონეს ჩვენი მასალები და აღგვითქვეს, რომ შესაძლებელია ზოგიერთი მათგანი დააფინანსონ კიდევაც უახლოეს მომავალში. აღნიშნულ საკითხებზე ჩვენ მჭიდრო კონტაქტში ვმუშაობთ ეკონომიკისა და ფინანსთა, საგარეო საქმეთა, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროებთან, პირადად ბ-ნ თემურ ბასილიასთან და მიგვაჩნია, რომ მომავალში ამ მიმართულებით გარკვეულ შედეგებს მივაღწევთ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა "საგზაო ფონდის შესახებ" კანონის ძალაში შესვლა და ამოქმედება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საგზაო ფონდში შემოსული სახსრები გადაიქცა ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ წყაროდ. მარტო მიმდინარე წელს საგზაო სამუშაოებიდან ბიუჯეტში სხვადასხვა გადასახადების სახით უკვე შეტანილია 8 მლნ ლარამდე და ეს ციფრი წლის ბოლომდე კიდევ უფრო გაიზრდება.

მართალია, ამ ციფრის უკან დგას კონცერნში ახლად შექმნილი საგადასახადო სამსახურები, რომლებმაც თავისი თავდადებული შრომითა და რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს, რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის უდიდესი დახმარებით შესძლეს მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის 150%-ით შესრულება, მაგრამ ცხადია, მიღწეული ძალზე მცირეა და ამ კუთხით ჩვენ დაგვჭირდება უფრო სერიოზული მუშაობა, რადგანაც მომავალი წლების ამოცანები გაცილებით მეტ სახსრებს მოითხოვს.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ ციფრებზე უახლოეს გასულ წლებში ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ეს მიღწეულ იქნა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ქვეყნაში წესრიგი დამყარდა, ხალხს მეტი საშუალებები გაუჩნდა და, საერთოდ, მართალია ამ გადასახადებს დიდი სიამოვნებით არ იხდიან, მაგრამ ქვეყნაში გადამხდელი მაინც გამოჩნდა და ისინი ერთეულები არ არიან. სწორედ ამან შექმნა იმის პირობები, რომ ესოდენ დიდი თანხები აგვეკრიფა და ასეთი სერიოზული სამუშაოები ჩაგვეტარებინა.

საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ შესრულებული სამუშაოების ღირებულების 40-50% - გადასახადების სახით მიიმართება როგორც რესპუბლიკურ, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტებში.

მე ვფიქრობ, ალბათ, ეს საკითხიც განსახილველია და ამ მიმართებით ზომებია მისაღები.

აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ დიდია რეგიონების როლი საგზაო ფონდის შემოსავლების ამოღების საქმეში. ჯელაფერს რომ თავი დავანებოთ, გადასახადი საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის, რომელიც იკრიბება რაიონებში, რჩება ადგილებზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის. ამიტომაც, ყოველი რეგიონისა თუ რაიონის ხელმძღვანელმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გადასახადის დროულად და სრულად ამოღებას. არადა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა გვაქვს რაიონულ ცენტრებამდე მისასვლელი გზების აღდგენის მხრივ. აღარაფერს ვამბობთ სასოფლო გზებზე, სადაც ჯერჯერობით არ მიგვიწვდება ხელი, ვინაიდან საგზაო ფონდში ამოღებული სახსრები ძირითადად ხმარდება ცენტრალური მაგისტრალების აღდგენა-განვითარების სამუშაოებს. ჩვენ დიდ ვალში ვართ სოფლის მოსახლეობასთან. და მომავალში ალბათ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ გზებსაც. რამდენჯერმე ითქვა და ისევ გავიმეორებ, რომ რაიონებმა ალბათ თავიანთ ბიუჯეტებში უნდა გაითვალისწინონ ეს ხარჯები. აღსანიშნავია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები ადგილზე აღარ არსებობს, არადა მათი საქმიანობიდან 1% სასოფლო გზებს ხმარდებოდა, ამჟამად კი ფაქტობრივად სოფლის მეურნეობა გზების მოვლა-შენახვაში და განვითარებაში არ მონაწილეობს. ცხადია, ეს საკითხიც მოსაგვარებელია.

ბოლო პერიოდში გახდა ცნობილი, რომ საერთაშორისო საავალუტო ფონდის რეკომენდაციებზე დაყრდნობით მზადდება და მ.წ. ბოლომდე საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება ქვეყნის საგადასახადო კოდექსის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს "საგზაო ფონდის შესახებ" კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი გადასახადის გაუქმებას, კერძოდ, პროექტით გათვალისწინებულია საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადის გაუქმება, რომელიც წარმოადგენს საგზაო ფონდის ერთ-ერთ ძირითად და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაფინანსების ერთადერთ წყაროს. გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის შემოსვლისათვის და სატრანზიტო მოძრაობისათვის გადასახადი ჩართულია 1997 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებში. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აღნიშნული გადასახადებით შემოსული თანხები შადგენენ საგზაო ფონდის მთლიანი შემოსავლების 70%-80%-ს და, თუ ეს ასე იქნა მიღებული, გამოდის, რომ საგზაო ფონდი ფაქტიურად უქმდება.

- ე.ი. თქვენს სისტემაში ჯელაფერი წესრიგშია.

- ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ დღეს მოქმედი კანონი "საგზაო ფონდის შესახებ" იდეალურია. საერთოდ, თუ მსოფლიო პრაქტიკასა და თანამეგობრობის ქვეყნების გამოცდილებას გადავხედავთ, იქ საავტომობილო გზების ქსელის განვითარებისა და შენახვის ხარჯებს, რომლებიც საწვავსაცხები მასალების ღირებულებაშია კონცენტრირებული, ძირითადად ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები ანაზღაურებენ. ეს ჯელაზე ცივილიზებული და მოხერხებული ფორმაა. ან არადა, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების დაფინანსება თავის თავზე უნდა აიღოს ცენტრალურმა ბიუჯეტმა, რისი საშუალებაც ქვეყნის ბიუჯეტს ამჟამად არა აქვს. სწორედ ყოველივე ამის გამო გადაიდგა იძულებითი ნაბიჯი და დაწესდა სხვადასხვა გადასახადები საგზაო ფონდში, რაც კარგი ცხოვრებით, ცხადია, არ იყო ნაკარნახევი.

ერთი წელი არ არის, რაც შეიქმნა ფონდი და უკვე დაიწყო ბრძოლა ფონდში გადასახადების ცალკეული სახეების გაუქმებისათვის. არადა, უნდა იყოს პირიქით. თუ გვინდა, რომ აღორძინდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, პირველ რიგში უნდა შეექმნათ სრულყოფილი საკომუნიკაციო სისტემები, მათ შორის სრულყოფილი საავტომობილო გზების ქსელი. ამისათვის, ჩვენი აზრით, კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ კიდევაც უნდა გამონახოს დაფინანსების დამატებითი წყაროები. სწორედ ამაზეა გამახვილებული ყურადღება საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 14 ივნისის №388 ბრძანებულებაში. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ საწვავზე ფიქსირებული გადასახადის 40%-მდე გაზრდით მიღებული შემოსავლიდან, რომელიც ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებით 45-50 მლნ ლარს შეადგენს, ნახევარი მაინც საგზაო ფონდში წარიმართებოდა, რაც ვერ მოხერხდა.

- საგზაო ფონდის არსებობა რამდენად საჭიროა, როცა ბიუჯეტის ფორმირება ასე თუ ისე ნორმალურად მიმდინარეობს?

- ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ მომავალში მიზანშეწონილი იქნება საგზაო გადასახადები, ისე როგორც ჯელა სხვა გადასახადი, წარიმართოს ქვეყნის ცენტრალურ ბიუჯეტში და საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვისა და განვითარებისათვის სახსრები მთლიანად ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოს, მაგრამ ამ ეტაპზე, ვინაიდან ჯერ კიდევ სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ ფორმირდება სათანადო დონეზე და ქვეყნის ბიუჯეტს არ ძალუძს აღნიშნული სამუშაოებისათვის შესაბამისი ხარჯების გაღება, მეგზაურეთა მრავალათასიანი კოლექტივის თხოვნაა კარგად დაწყებულ საქმეს დასაწყისშივე ნუ მოვსპობთ და ამ ეტაპზე ძალაში დარჩეს საგზაო გადასახადების ამოღების ამჟამად მოქმედი წესი "საგზაო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

საგზაო ფონდის ამოქმედებამ, გარდა აღნიშნულისა, ბევრ სხვა სასიკეთო ტენდენციებსაც ჩაუყარა საფუძველი საგზაო დარგში. გარდა იმისა, რომ უკან მოვაბრუნეთ და ისევ დავასაქმეთ სისტემიდან წასული 2000-ზე მეტი საგზაო დარგის ძველი სპეციალისტი და მათ შორის ბევრი ლტოლვილიც, საგრძნობლად გაიზარდა დარგის მუშაკთა ხელფასების დონე. დარგის ცალკეულ საწარმოებში ხელფასმა მიაღწია 200-250 ლარს, ხოლო მთლიანად სისტემის მუშაკთა საშუალო ხელფასი გასულ წელთან შედარებით 4,5-5-ჯერ გაიზარდა და შეადგინა 70-80 ლარი.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დარგში რესტრუქტურიზაციის პროცესი. დაიწყო და მთავრდება დარგის სამშენებლო-სამონტაჟო, სამრეწველო ორგანიზაციების, ასფალტ-ბეტონის ქარხნების, საპროექტო და სამეცნიერო ინსტიტუტების პრივატიზების პროცესი. ამ კუთხით დიდ სამსახურს გვიწევს მსოფლიო ბანკის კრედიტით განსახორციელებელი ტექნიკური დახმარების პროექტი, რომლის მიხედვითაც მომავალი წლის დასაწყისიდან ჩვენთან იმუშავებს ფრანგულ-ბრიტანული ფირმა და მისი რეკომენდაციებისა და დასკვნების გათვალისწინებით, ჩვენს პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ძირითადად დაიგეგმა-წავთ დარგის მართვის სტრუქტურას თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების დონეზე.

მსოფლიოში უკვე აღარ დავობენ იმაზე, რომ საქართველო არის სატრანზიტო ქვეყანა. ჩვენს ტერიტორიაზე გაივლის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ უკვე აღიარებული ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ვლადიკავკაზი-გორი-ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო მაგისტრალი. ისინი მთლიანად კვეთენ ქვეყნის ტერიტორიას. ცხადია, ქვეყნისათვის ეს უკვე არის და მომავალშიც იქნება უდიდესი შემოსავლის წყარო. ესოდენ სერიოზული საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალების არსებობა ჩვენს ქვეყანაში უდიდეს ამოცანებს უჯენს პირველყოვლისა ჩვენს დარგს, რათა გზები ვიქონიოთ წესრიგში და ისინი აკმაყოფილებდნენ მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს. ამიტომ აუცილებელია წესრიგში ვიქონიოთ არა მარტო აღნიშნული მაგისტრალები, არამედ ქვეყნის შიგნით არსებული სხვა გზებიც, რომლებიც ქვეყნის შიდა-სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას სჭირდება.

სწორედ ამ მიზნით, ბატონი პრეზიდენტის დავალებით, მომზადდა საქართველოს საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის საპრეზიდენტო პროგრამა.

პროგრამის მომზადებას წინ უძღოდა დიდი მუშაობა, რომელიც განახორციელა პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილმა სამთავრობო კომისიამ, რომელშიც შეჯანილ იქნენ ქვეყნის ძირითად სამინისტროთა და სხვა უწყებათა პირველი ხელმძღვანელები. კომისიას ხელმძღვანელობს სახელმწიფო მინისტრი, ბ-ნი ნიკო ლეკიშვილი.

- რას ითვალისწინებს ეს პროგრამა?

- პირველ რიგში ძირითადი პრიორიტეტული მაგისტრალების, ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის, სარფი-ბათუმი-ურეკი-სამტრედიის, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის, ხაშური-ახალციხე-ვალეს და თბილისი-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზების რეაბილიტაციას, დანარჩენი გზების მოწესრიგებას 2001 წლამდე და შემდგომში ამ გზების მოდერნიზაციას 2010 წლამდე პერიოდისათვის.

აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად 1997-2010 წლებში შემუშავებულია სამუშაოთა ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც დაამუშავა ამ მიზნით შექმნილმა ქვეკომისიამ.

სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფისათვის მობილიზებულია შემოსავლები "საგზაო ფონდიდან", ცენტრალური ბიუჯეტის ასიგნებანი, ნავარაუდევია უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვა.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ შემუშავებული და წარმოდგენილია კარგი პროგრამა, მაგრამ იგი სიცოცხლისუნარიანია მაშინ, როდესაც ის რეალურ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს ემყარება.

პრივატიზების მაცნე №40

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს

ს/ს "ელექტრონიკა-94"-ის ქთბილისის კგამსახურდიას გამზ. №14-ში არსებული 540 კვ.მ. ფართის იჯარა-გამოსყიდვით გაცემის შესახებ

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-ზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან დროებით ამხანაგობას.

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

მეიჯარე - თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტი;

იჯარით გასაცემი ქონების ფასი შეადგენს 41 000 აშშ დოლარს (ექვ. თანხა ეროვნულ ვალუტაში);

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა - 4 100 აშშ დოლარი წელიწადში (ექვ. თანხა ეროვნულ ვალუტაში);

მისამართი: ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. №14.

საკონკურსო პირობა: 1997 წლის 31 დეკემბრამდე გამოსასყიდი ღირებულების 50%-ის დაფარვა, ხოლო დარჩენილი 50%-ის - მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობას და იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქსიმალური თანხის გადახდაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა საიჯარო განცხადების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

1. წესდება;
2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი;
3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპასპორტო მონაცემები.

განმცხადებლებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ "ბეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ბეს" სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი", ა/ა №001141776, მფო 521017.

საკონკურსო განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადებების განხილვა განმცხადებელს ეცნობება განაცხადის წარმოდგენისას.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში ს/ს "ელექტრონიკა-94"-ის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილი დროებითი ამხანაგობა სახელმწიფოს ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას წარუდგენს განაცხადს საწარმოს იჯარით აღების შესახებ, საქართველოს პარლამენტის 20.09.94. №555-Iს დადგენილებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ" 8.17 პუნქტის თანახმად კონკურსი აღარ გაიმართება და საწარმო იჯარით გამოსყიდვის უფლებით პირდაპირ გადაეცემა ამ ამხანაგობას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განაცხადით საწარმოს მუშაკები სარგებლობენ კონკურსის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით. თუ საწარმოს მუშაკთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს სხვა მონაწილეთაგან შემოთავაზებულ თანაბარ პირობებს, უპირატესობა ენიჭებათ საწარმოს მუშაკებს.

განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი 324.

ცნობებისათის დარეკეთ: 29-28-03.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

კომერციული კონკურსი

№7 სპეციალიზებული აუქციონი

- განაცხადები დადგენილი წესით მიიღება 1996 წლის 30 დეკემბრიდან 1997 წლის 21 იანვრის 17 საათამდე ქ. თბილისში ჭავჭავაძის გამზ. №64, ოთახი №219 (სახ. ქონების მართვის სამინისტროს შენობაში) ან სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიულ ორგანოში სააქციო საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით
- 1 აქციის ნომინალური ღირებულება = 1,46 აშშ დოლარის ექვივ-ს, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აუქციონზე = 2,1 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში (ლარებში) გარდა მუქი ფერით გამოყოფილი ს/საზოგადოებების აქციებისა, რომელთა 1 აქცია=1 აშშ დოლარის ექვივალენტს, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აუქციონზე = 1,5 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.
- შესაბამისად, აუქციონის შედეგად, გადახდილი ყოველი 21 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხის სანაცვლოდ, შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 10 ცალი 1,46 აშშ დოლარის ან 14 ცალი 1 აშშ დოლარის ექვივალენტური ნომინალური ღირებულების აქცია, ანუ იმ სააქციო საზოგადოებებში, სადაც დარჩენილია და გამოტანილია გასაყიდად აღნიშნულ რაოდენობაზე ნაკლები აქცია, ამ აქციების საწყისი გასაყიდი ფასია 21 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში

№	სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე)	გამოშვებული აქციების რაოდენობა	აუქციონზე გასაყ.აქციების რაოდ.	% საწესდებო კაპიტალი	ნომინალური ღირებულება აშშ დოლ.	საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლ.	აქციათა გამოშვების კოდი	სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი	გენერალური დირექტორი	დაკავებ. მიწის ფართ.ჰა
1	19."ივერია"(ქუთ.ავეჯის საწ.გ-ბა)	233225	22870	9.806	33435.6725	48027	480-019	ქუთაისი,მშენებლის 2.ტ.62093	მ.მამისეიშვილი	7.4
2	23."ტყავფეხსაცმელების კ-ტი"(ქუთ.)	478600	418774	87.5	612242.69	879425.4	480-023	ქუთაისი, ჭავჭავაძის 2.ტ.32648	მ.ასამბიანი	4.5
3	29."ტრანსმშენი"	722027	302791	41.936	442676.901	635861.1	237-029	დოლიძის 2..	ლ.მეგრელიშვილი	
4	33."მინის ტარის ქარხანა"(ქუთ.)	199654	9	0.0045	13.1578947	21	480-033	ქუთაისი, ლ.ასათიანის 98.ტ.33742	მ.შეყლაშვილი	5.2
5	59."ბიზნეს ცენტრი-სასტუმრო "რუსთავი"	516258	239409	46.374	350013.158	502758.9	390-059	რუსთავი, მეგობრობის გ.32	ვ.კაჭახიძე	0.75
6	77."ფაიფური"(ზუგდიდის ფაიფურის ქ-ნა)	438107	178944	40.845	261614.035	375782.4	220-077	ზუგდიდი, ახალგაზრდობის 1.ტ.24445	გ.სოსელია	9.5
7	95."მექანიკოსი"(ხაშურის მექან.ქ-ნა)	331575	101349	30.566	148171.053	212832.9	600-095	ხაშური,9 აპრილის 98.ტ.23088, 21876	თ.ქარსანიშვილი	4.02
8	102."შენება"(ჩხოროწყუს №1 ჩაის ფ-კა)	90774	85599	94.299	125144.737	179757.9	550-102	ჩხოროწყუ, სტალინის 3, შეს.3	ა.ვეკუა	3.9
9	104."იმედი"(ლესიჭინის ჩაის პ.გ.ფ-კა)	65122	34230	52.563	50043.8596	71883	550-104	ჩხოროწყუ,სოფ.ლესიჭინე		5.2
10	114."კალასი" (საავეჯო დეტალების კ-ტი)	360217	3	0.0008	4.38596491	21	238-114	ჭიჭინაძის შეს.1	გ.თორაძე	
11	215."შამათი"(ლანჩხ.შამათის ჩაის ფ-კა)	44743	5	0.0112	7.30994152	21	300-215	ლანჩხუთი,სოფ.შამათი.	ზ.ურუშაძე	1
12	251."აჩინებული"(თელავის ღვინის ქ-ნა)	339381	8	0.0024	11.6959064	21	250-251	თელავი, აჩინებული	ნ.ბარხუდარაშვილი	7.02
13	270."ვერძი"(თბ.მატყლის პირვ.დამუშ.ფ-კა)	249887	6	0.0024	8.77192982	21	238-270	თეთრი ხევი,ჰესის დასახ.	გ.ბაგრატიონი	3.68
14	287."თბილისის ქაღალდის ფ-კა"	176626	64150	36.32	93786.5497	134715	233-287	ბ.ხმელნიცკის 44-ა.ტ.742671, 741135	ვ.კეიდია	3.2
15	327."ელექტროთერმოშედუღება"(სამეც.საწ.კ.)	258854	2	0.0008	2.92397661	21	234-327	რუსთავის გზატკ.50	3.5	
16	387."ლითოგრაფია"(გორის მრ.დარგ.მც.საწ.)	103778	28707	27.662	41969.2982	60284.7	150-387	გორი, შინდისის გზატკ.12.ტ.22665	გ.ოქუაშვილი	
17	445."მანქანათმშენებელი" (ლაგოდეხ.მანქანათმშ.ქ-ნა)	131350	925	0.7042	1352.33918	1942.5	290-445	ლაგოდეხი, ჭავჭავაძის 132		5
18	654."იუპიტერი"(გორის მაცივარკომბინატი)	248458	9817	3.9512	14352.3392	20615.7	150-654	გორი, შინდისის გზატკ.	გ.სამხარაძე	4
19	666."შშენებელი"("საქქალაქშენი"-ს მმკ-70)	47973	5	0.0106	7.30994152	21	350-666	მცხეთა, აღმაშენებლის 93.ტ.2457		
20	703."ა/სატრ.საწ.ვაშლიჯვარი"(სატვ.ასს №10)	119149	3	0.0025	4.38596491	21	237-703	გოძიაშვილის 24.	გ.ბერაძე	
21	724."წყალმშენი-I"(სსგ "წყალმშ."ც.საწ.ბაზა)	192408	3	0.0016	4.38596491	21	235-724	მაჩაბლის 8.	გ.თაბორიძე	
22	779."მეტეხი"(კასპი,მეტეხის აგურის ქ-ნა)	137901	4391	3.1842	6419.59064	9221.1	280-779	კასპი, სადგური მეტეხი		
23	820."აგროსოფლტექსერვისი"(აბაშის ენერგო-ტევ.ტრაქტ.სარემ.ქ-ნა)	106722	3	0.0028	3	21	010-820	აბაშა,სოფ.ნორიო,ტ.91833		
24	864."ხაბაზი"(რუსთავ.პურკომბ.სათაო ქ-ნა)	357794	1	0.0003	1	21	390-864	რუსთავი, ლომოურის 6.ტ.129989, 194259	გ.ფირცხალაიშვილი	1.75
25	868."თბილფოლადკონსტრუქცია" (თბ.სამშ.სამონტ.სამმ-ლო)	74659	1	0.0013	1.4619883	21	237-868	თბილისი, კუტუზოვის ჩიხი 4-ა	ი.ხარაბაძე	2.5
26	883."შუამთა"(სახ.საწ.ფ-მა "პური"-ს №3 მექანიკ.თონე)	23407	5	0.0214	5	21	238-883	თბილისი, შუამთის 13	ჯ.მირზაშვილი	
27	925."რუხის ჩაის ფაბრიკა"	40320	2	0.005	2	21	220-925	ზუგდიდი, სოფ.რუხი.	ფ.კორტავა	
28	945."ორპირის ჩაი"(ტყიბ.ს.ორპირის ჩაის ფ-კა)	66733	9	0.0135	9	21	450-945	ტყიბული,სოფ.ორპირი,ქუთაისი-ტყიბ.საავტ.გზ 12	კ.ლანჩავა	
29	946."ტყიბულის ჩაი"(ტყიბულის ჩაის ფ-კა)	136909	5	0.0037	5	21	450-946	ტყიბული,სოფ.საწირე,ქუთ.-ტყიბ.ა/მაგისტრ.35 კმ	გ.რუხაია	
30	976."ჩოხატაურის ნავთობპროდუქტი" (ჩოხატ.კომერც.შუამავლ.ფ.)	54497	26497	48.621	26497	39745.5	540-976	ჩოხატაური		0.37
31	977."საშენი მასალა-95"(საქ.რეს.სამშენ. სამონტ.სამმ."ელევატორი")	138906	136118	97.993	136118	204177	238-977	თბილისი, ქიზიყის 23	ვ.ნარსავიძე	
32	979."სენაკი 21-ე საუკუნე"(ურბანიზაც.და მშენ.სამინ.№12 ზუგდიდი)	42860	30800	71.862	30800	46200	430-979	სენაკი, წმინდა ნინოს 8	ა.ქარცხავა	1.42
33	1000."საირმე"(საირმის მინ.წყლის ჩამ.ქარხ.)	176548	169400	95.951	169400	254100	110-1000	ბაღდათი, ნინოშვილის 12,ტ.2821	ი.გარუჩავა	1.26
	სულ:	6704522	1854841		2544128.01	3677666.1				

აუქციონის შედეგების შეჯამებისას ყოველ ცალკეულად გადახდილი თანხიდან გადახდილად ჩაითვლება 21 აშშ დოლარის ან მისი ჯერადის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, ხოლო ნაშთი თანხები გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება.

ჭრელი ამბების დასტა

ქიმწმენდა სისხლისათვის

კაცობრიობის არსებობის პირველივე დღეებიდან ადამიანები სისხლის ძალას ორგანიზმის უმთავრეს სიცოცხლისუნარიანობას მიაწერდნენ. და მართლაც, თუ სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევა დაირღვა, ორგანიზმი გამართულად ვეღარ მუშაობს, ზიანდება ადამიანის ჯანმრთელობაც. თავდაპირველად ადამიანი თითქმის ვერაფერს ამჩნევს, გარდა საერთო სისუსტისა, მაგრამ მერე ცხადი ხდება, რომ სახეზე გვაქვს ჩამოყალიბებული ავადმყოფობა, რომლის მორჩენა უკვე ძნელია.

ღღევანდელი მედიცინა ნამდვილად საოცრებას ახდენს. დღეს სისხლის მიმოქცევის დარღვევის შემთხვევაში ექიმი დაგინიშნავთ აბებს, მაგრამ ამგვარი მკურნალობა უფრო ხანგრძლივია. არსებობს კიდევ მეორე გზა. სამედიცინო ტექნოლოგიის უკანასკნელი მიღწევების წყალობით შესაძლებელია "სისხლის გაწმენდის პროცედურები". ის სულ იოლად ტარდება და მოკლე დრო სჭირდება. საყურადღებოა, რომ ამ დროს ხდება როგორც სისხლის გაწმენდა, ისე კანის შინაგან ორგანოთა გაჯანსაღებაც.

სწორედ ამიტომაა, რომ ბევრი ამერიკელი ქალი წელიწადში ორჯერ მაინც იტარებს ამ პროცედურებს, რითაც მნიშვნელოვნად იჯანსაღებს ორგანიზმს და ინარჩუნებს ახალგაზრდულ იერს. ეს პროცედურები ჯერჯერობით ამერიკაშია დანერგილი და გავრცელებული, მაგრამ თანამედროვე ტემპებისა და ურთიერთობების შემწეობით, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი მალე ჩვენთანაც შემოაღწევს და ჩვენი ქალებიც უფრო გვიან დაბერდებიან.

რა ხდება ეკრანზე

"აგერ უკვე ოცი წელი მაინც იქნება, ყველას აინტერესებს არა ის, თუ რა ხდება ეკრანზე, არამედ ის, თუ რისი თქმა უნდოდა ამით ავტორს. თითქმის ავტორმა ესა და ეს რომ გააკეთა, ამით ამის და ამის თქმა სურდაო. პოლიტიკაშიც იგივე ხდება: "ჩვენი ქვეყნის" ნაცვლად ყველა "შე"-ს გაიძახის. "ახალი ტალღის" დროს ვერც კი შევამჩნიეთ, რომ სიტყვებში "ავტორის პოლიტიკა" აზრობრივი მახვილი კეთდებოდა სიტყვაზე "პოლიტიკა". ესე იგი, იმაზე, თუ ავტორი რას აკეთებს. "ახალი ტალღის" სულისკვეთების პირველი ავტორი ხომ ღმერთია. იგი ბრძანებს "იქმნენ". შეეძლო, რა თქმა უნდა, ხალხისთვისაც ეკითხა, რას ფიქრობს ამის თაობაზე. ხალხიც უპასუხებდა, ისიც ყველაფერს გაიგებდა" - ეს სიტყვები დიდმა რეჟისორმა ჟან- ლიუკ გადარმა წარმოთქვა თავისი ახალი ფილმის "For Ever Mozart"-ის პრემიერაზე. იქნებ მართლა იმით დავინტერესდეთ, თუ რა ხდება ეკრანზე, რა ხდება სცენაზე...და ბოლოს რა ხდება ჩვენს თვალწინ?

514 ლამაზმანი

გამოვიდა წიგნი "Playmate Book", რომელშიც შესულია 514 ლამაზმანის ფოტოსურათები. ეს ის ფოტოსურათებია, რომლებსაც 50 წლის განმავლობაში ჟურნალი "ფლეიბოი" ბეჭდავდა თავის ყდაზე. წიგნის გამოსვლას მიეძღვნა "ფლეიბოის" ვეტერან ქალთა შეკრება. მოწვეული ყველა მოიწვიეს, მაგრამ მოსვლით მხოლოდ თორმეტი მოვიდა. სხვებმა დრო ვერ გამონახეს. საქმე ის გახლავთ, რომ საღამოზე დასწრებისათვის ისინი არავითარ გასამრჯელოს არ ელოდნენ, ტყუილუბრალოდ კი თავი არ შეიწუხეს.

მაკდონალდსის ახალი ქსელი

ფილმ "101 დალმატინელის" გამოსვლიდან სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ ლოს-ანჟელესში გაიხსნა მაკდონალდსის ახალი "Dalmation Station"-ის ერთ-ერთი რესტორანი. სწრაფი კვების მსოფლიო ლიდერს განზრახული აქვს რეკორდულ ვადებში გაშალოს ახალი ქსელი მთელ ამერიკაში.

ფეხბურთის მატჩის სტუმარი - მელია

შოტლანდიის მეთორმეტე ტურის საფეხბურთო მატჩი "სელტიკსა" და "რეინჯერსს" შორის თავისთავად საინტერესოდ წარიმართა. თამაშის დასაწყისში ლაუდრეპის მშვენიერი ბურთი გავიდა "სელტიკის" კარში, შემდეგ მეორე ტაიმში, ორი აუცილებელი პენალტი: ჯერ "რეინჯერსელმა" პოლ გასკოინიმ, მერე "სელტიკის" საუკეთესო სნაიპერმა პიერ ვან ხოიდონკმა საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენეს. საბოლოოდ მატჩი დამთავრდა ანგარიშით 0:1 "რეინჯერსის" გამარჯვებით, მაგრამ მრავალრიცხოვან მაყურებელს მატჩი მაინც იმ კურიოზულ შემთხვევის გამო დაამახსოვრდება, რაც თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოხდა მინდორზე. კაცმა არ იცის, საიდან და როგორ, მაგრამ გაზონზე გადმოხტა მელია და გაოგნებულმა აქეთ-იქით დაიწყო სირბილი, ხან ერთი, ხან მეორე კარისაკენ. საბრალო მელია მსაჯმა შეაშინა. მან შეაჩერა თამაში და ცდილობდა დაუპატიჟებელი სტუმრის მოგერიებას.

მსოფლიოს ლამაზმანი

"მის-მსოფლიო - 96"-ის საპატიო სახელი წილად ხვდა ბერძენ ლამაზმანს ირენ სკლივას. მან კონკურსის ფინალში გაუსწრო ბრაზილიისა და კოლუმბიის წარმომადგენლებს. ფინალის დღეს ბანგალორში (სადაც ტარდებოდა კონკურსი) დააპატიმრეს 1500 დემონსტრანტი ქალი, რომლებიც იმუქრებოდნენ, თავს დავიწვავთ, თუ არ შეაჩერებთ ამ "მსოფლიო საშინელებასო".

ენის სიწმინდისათვის

რუსული მეტყველების მოყვარულთა საზოგადოება ჯერ კიდევ 1811 წლიდან იღებს სათავეს. მან ახალი სიცოცხლე შეიძინა 1992 წელს დიდი ენათმეცნიერის დიმიტრი ლიხაჩოვის აქტიური მონაწილეობით. საზოგადოებამ მორიგ სხდომაზე შეაჯამა პირველი კონკურსის შედეგები. კონკურსს ეწოდება "Типун на язык". ამიერიდან კონკურსში გამარჯვებულის "საპატიო" წოდება მიენიჭებათ რუსეთის პოლიტიკოსებს, მოხელეებს, ბიზნესმენებს, ჟურნალისტებსა და სხვებს რუსული მეტყველების ტიპიური და თვალშისაცემი დამახინჯებისათვის.

1996 წლის პირველი პრემია დიდი კამათის შემდეგ მიენიჭა პროგრამა "Час пик"-ის წამყვანს, ყველა ტელემაყურებლისთვის კარგად ცნობილ ანდრეი რაზბაშს - ფრაზისთვის "Большой театр отправил его на пенсию, где он больше не танцевал". ენისადმი ტიპიური თავისუფალი მიდგომა გამოიჩინა ვიქტორ ჩერნომირდინმა, როცა თქვა: 'Президент попросил доложить всё, что делается в стране сейчас".

საბრალო ჩვენი ქართული ენა და ქართული მეტყველება. ნეტავ ამას გამოუჩნდებოდეს ასეთი გულშემატკივარი ადამიანი, ან ჯგუფი, ან საზოგადოება, ან ორგანიზაცია, რომელიც ფულად ჯილდოს დააწესებდა ენის დამახინჯების აკტორთა მხილებისათვის. თუმცა იცოცხლეთ, გვარიანი თანხა დასჭირდებოდა, ვერ აუვიდოდა!

დიდი ქონების პატრონი

მეტად თავისებური ხერხით ემზადება მორიგი, ამჯერად სამოქალაქო სასამართლოსთვის მოკრივე - მძიმე წონოსანი ო-ჯეი სიმპსონი. ბოლო სასამართლო პროცესზე მისმა ვექილებმა შეძლეს დაემტკიცებინათ დაუმტკიცებელი - თითქოს მოკრივეს არ ჩაედინოს მკვლელობა. საქმე ის გახლავთ, რომ სიმპსონი შავკანიანთა კერპია და მისი დამნაშავედ ცნობა უთუოდ ამერიკელ შავკანიანთა რასობრივ მღელვარებას გამოიწვევდა. საყოველთაო ბოიკოტი რომ გადალახოს (მოკრივეს თითქმის აღარცერთ რესტორანში აღარ უშვებენ), აუცილებელია ამ პროცესზეც მოიგოს. ვექილებმა კარგად იციან ადამიანთა ფსიქოლოგია. ამიტომ თავის "ქვეშევრდომს" ურჩიეს, მსაჯულები მსუქან ადამიანებს კეთილ თვისებებს მიაწერენ ხოლმე და საჭიროა, ცოტა მოსუქდეო. და აი, სიმპსონიც ზის და მთელი დღის განმავლობაში ნარინარი საჭმელებს მირთმევს. მან თხუთმეტი კილოგრამი უკვე "შეიძინა", მაგრამ მიღწეულს არ სჯერდება. უნდა აუცილებლად მოიპოვოს მსაჯულთა კეთილგანწყობა და...ციხეს თავი დააღწიოს. ვექილების გასამრჯელოს სიდიდე მას არ ანაღვლებს - საკმაოდ დიდი ქონების პატრონია.

კოლოსალური მოგება

დისნეის მულტფილმის "101 დალმატინელის" ეკრანზე გამოსვლიდან ზუსტად 35 წლის შემდეგ, ნიუ-იორკში შედგა ამავე სახელწოდების სათამაშო ფილმის პრემიერა. ჯადოქარი კრუელ დე ვილის როლი ბრწყინვალედ შეასრულა გლენ კლოუზმა, რომელსაც სხვათაშორის, თავის ქმრებთან დამოკიდებულების გამო სწორედ "ჯადოქარი" შეარქვეს.

101 დალმატინელის როლებს ასრულებდა 200-ზე მეტი დალმატინელი ლეკვი, ექვსიდან რვა კვირის ასაკამდე. მაგრამ, სამწუხაროდ კადრში ერთდროულად ვერც ერთხელ ვერ "ჩასვეს" სამოცდაათზე მეტი.

ფილმის ფართო ეკრანზე გამოსვლით ბოლოს და ბოლოს აღსრულდა კრუელი დე ვილის ოცნება, "დალმატინ"-ის სტილში შესრულებული ნაკეთობანი საავტორო უფლებათა მფლობელებს კოლოსალურ მოგებას მოუტანს.

ПРИВАТИЗЕБИС ОИНЕБИ

"ASE REMO MANASKHLI, KHAN ISE DA KHAN ASEPO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაური წესი აქვს პრივატიზებას - ზოგს დიდძალი ქონების პატრონად ხდის, ზოგსაც ერთი აქციის ამარა სტოვებს. მისთვის უზენაესი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის კანონებია და სხვას არაფრად დაგიდევთ. არც საკარძელს ეპუება, არც უფროს-უმცროსობის ადათს ითვალისწინებს.

სამკვდროსასიცოცხლოდ გადაკიდებს ერთმანეთს იმათ, ვისი ურთიერთთანადგომაც ქვეყანას სჭირდება.

ერთი მაგალითი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრებიდან:

სევეროდვინსკელები (არხანგელსკის ოლქი) დიდი საქმისთვის ემზადებოდნენ. ახალი თაობის წყალქვეშა ნავის "იური დოლგორუკოვის" აგებას იწყებდნენ. ეს ქალაქი დახურული ტიპისაა და სტუმრებიც იშვიათად ჩადიან. ამჯერად კი საზეიმოდ მორთულ ტრიბუნაზე ორი დიდმოხელე ერთდროულად ავიდა და ერთმანეთის გვერდით დადგა - რუსეთის პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი ანატოლი ჩუბაისი და მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი.

თითქოს უჩვეულო არაფერი იყო, მაგრამ საქმის მცოდნენი მაინც ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და სტუმრებზე უთითებდნენ.

საქმე ის არის, რომ რუსეთში ბევრმა იცოდა ჩუბაისისა და ლუჟკოვის ურთიერთდაპირისპირების ამბავი, ერთმანეთისადმი ცივი დამოკიდებულება.

ბევრისთვის მიზეზიც კარგად იყო ცნობილი. ჩუბაისისა და ლუჟკოვის გზები სამსახურებრივ კიბეზე არასოდეს გადაკვეთილან. ეს ორი მაღალჩინოსანი ერთმანეთს სწორედ პრივატიზებამ, უფრო სწორედ მისი შინაარსის მკვეთრად განსხვავებულმა ინტერპრეტაციამ დააპირისპირა. ძალიან განსხვავებული აზრები ჰქონდათ როგორც თვით პრივატიზებაზე, ისე საერთოდ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ჩუბაისი ლიბერალური, სრულიად საბაზრო ეკონომიკის აპოლოგეტია, ლუჟკოვი კი მხარს მკაცრ სამეურნეო კონტროლსა და რესურსების ცენტრალიზებულ განაწილებას უჭერს.

თავის დროზე მოსკოვის მერი დედაქალაქისათვის პრივატიზების განსაკუთრებული მეთოდების დამუშავებას მოითხოვდა, ჩუბაისი იმ დროს სახელმწიფო ქონების კომიტეტის თავმჯდომარე იყო და ყოველნაირად ხელს უშლიდა ლუჟკოვის იდეების პრაქტიკულად განხორციელებას.

სევეროდვინსკში ჩუბაისისა და ლუჟკოვის ერთად ყოფნამ პრეზიდენტსაც აუჩვილა გული და მისი საფარელი ადამიანების ურთიერთობაში დათბობის იმედიც ჩაუსახა. თავის სატელევიზიო გამოსვლაში ბატონმა ელცინმა ამ მგზავრობას მთელი ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი უწოდა და სურვილიც გამოთქვა, რომ ის დღე საერთოდ შერიგების დღედ გამოეცხადებინათ.

სამწუხაროდ, ყველაფერი გარეგნული იერი, ფორმა იყო და ვითარების შინაარსს სულაც არ გამოხატავდა, რადგან ეს შერიგების შედეგი კი არა, სვერდლოვსკის ოლქის გუბერნატორის ანატოლი ეფრემოვის აპარატის მოქნილი პოლიტიკის შედეგი გახლდათ. ეს მან შესძლო გემთმშენებლებთან ორი საპატიო სტუმრის შეხვედრა საზეიმო მიტინგზე, თორემ...

იმ დღეებში სევეროდვინსკში ორი საავიაციო რეისი განხორციელდა. პირველად ჩუბაისი და ლუჟკოვი უამინდობამ მოსკოვში დააბრუნა. მაშინ ისინი სხვადასხვა თვითმფრინავით მიემგზავრებოდნენ და უკანდაბრუნებულებიც სხვადასხვა აეროპორტში დაეშვნენ; ერთი ჩკალოვსკში, მეორე "შერემეტიევო - 2"-ში. ლუჟკოვის ჯგუფს დიდხანს არ დაუტოვებია საჰაერო ლაინერის სალონი და ყოველ წუთს მზად იყო გასდგომოდა გზას, თუ კი ჩუბაისის რაზმი ამის გაკეთებას გადაწყვეტდა.

მეორედ ორივე ერთი თვითმფრინავით გაემგზავრა. თვითმხილველთა ცნობით, ისინი გზაში არც გამოლაპარაკებიან ერთმანეთს, თუმცა ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მათი გზები ისევ გაიყარა. ლუჟკოვი ბანკეტზე წავიდა, ჩუბაისი კი გუბერნატორის ოფისში გაემგზავრა. მოსკოვის მერი სევეროდვინსკელ გემთმშენებლებს ნავის აგებაში დახმარებას შეპირდა, არხანგელსკის გუბერნატორის საერთო პროგრამით კი არც დაინტერესებულა.

მოსკოვში ჩუბაისი და ლუჟკოვი სხვადასხვა თვითმფრინავით დაბრუნდნენ. ეტყობა, შერიგება არ შედგა - პრივატიზების არსისადმი განსხვავებულმა მიდგომამ მაინც თავისი გაიტანა. თავად კი ჩუბაისის გზით მიდის. ჯერჯერობით მაინც.

რატი ხატიძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 1996 ᲬᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(დასასრული)

სახით 26,1 მლნ ლარი, არასაგადასახადო შემოსავლების და გრანტების სახით - 6,0 მლნ ლარი. გარდა ამისა, ევროგაერთიანებიდან უნდა მიგვეღო დაახლოებით 14,0 მლნ ლარი გრანტების სახით, რომელზეც საბოლოო დოკუმენტს - მემორანდუმს 12 დეკემბერს მოეწერა ხელი და არსებული მონაცემებით თანხის მიღება მომავალი წლის იანვარშია მოსალოდნელი. აგრეთვე შეფერხდა მსოფლიო ბანკის კრედიტის მეორე ტრანშიც - 38,0 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხის მიღება უკეთეს შემთხვევაში - მომავალი წლის იანვრის ბოლო დეკადაშია მოსალოდნელი. ყოველივე ზემოაღნიშნული სირთულეების წინაშე აყენებს 1996 წლის ცენტრალური ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსების საკითხს. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია წლის განმავლობაში დაუფინანსებელი დარჩეს და მომავალ წელს დავალიანების სახით გადავიდეს 40,0 მლნ ლარი. ამდენად, დარჩენილი პერიოდის მთავარი ამოცანაა საკუთარი შემოსავლების მაქსიმალური მობილიზაცია, ბიუჯეტის დაცული მუხლების (ხელფასი, პენსია, კვება, მედიკამენტები, დახმარებები, შემწეობები და სხვა მათთან გათანაბრებული გასაცემლები) სრულად დაფინანსება. ამ ამოცანის გადასაჭრელად აუცილებლად მობილიზებულ უნდა იქნეს 25,0 მლნ-მდე ლარი, რომლის რეალური შესაძლებლობა არსებობს, თუ საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მიერ განხორციელებული იქნება განსაკუთრებული ღონისძიებები არსებული რეზერვების მობილიზაციისათვის.

მიუხედავად სიძნელეებისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰოლანდიის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტი - 6,0 მლნ ლარი სრულად იქნა მიმართული ენერგოსისტემისათვის. მეტად საჭირო ენერგორესურსის - გაზის შესაძენად. სწორედ ამ დახმარების წყალობით თავიდან იქნა აცილებული ელექტროენერგიით მომარაგებაში მოსალოდნელი მძიმე შედეგები.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრების დასაზუსტებლად გრძელდება მოლაპარაკება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. წინასწარი მონაცემებით 1997 წლის ბიუჯეტის პროექტში ძირითადად შენარჩუნებული იქნება სოციალური სფეროსა და მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად გათვალისწინებული პარამეტრები, იგი რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას არ განიცდის. მომავალ წელს დაგეგმილია ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების და დახმარებების ზრდა 40%-მდე. მიუხედავად ბიუჯეტის პროექტის სხვა პუნქტებში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ოდენობით კორექტირებისა, ზემოაღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება პრიორიტეტულად იქნება განხორციელებული.

საგადასახადო ინსპექციის მიერ მიმდინარე წლის დასაწყისიდან ბიუჯეტში აკრეფილია 262 მლნ ლარი, რაც თითქმის 2,3-ჯერ აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდში მიღწეულ დონეს.

დეკემბრის პირველი ნახევრის შემოსავლებმა 12 მლნ ლარი შეადგინა. წლის ბოლომდე დარჩენილი პერიოდი საკმაოდ დაძაბულია, რაც 25 მლნ ლარზე მეტ შემოსავალს ითვალისწინებს. ამ მხრივ საკმაო იმედს იძლევა ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და მრეწველობის სისტემის (რკინიგზის ტრანსპორტი, ფოთის პორტი, კავშირგაბმულობის სამინისტრო, "კოკა-კოლა კავკასიონი", "არ ჯორჯია" და ა.შ.) მსხვილი - გადამხდელების საქმიანობა, რომლებიც დარჩენილ პერიოდში ბიუჯეტს სრულყოფილად გადაუხდიან კუთვნილ თანხებს.

მიმდინარე წლის 1-13 დეკემბერს საბაჟო სისტემიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა 4 მლნ ლარი, რაც 710,0 ათასი ლარით, ანუ 21,1%-ით აღემატება წინა თვის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

ბიუჯეტში გადარიცხული მთლიანი თანხიდან საბაჟო გადასახადია 706,0 ათასი ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადი - 838,3 ათასი ლარი, აქციზი - 39,9 ათასი ლარი, ფიქსირებული გადასახადი ნავთობპროდუქტებზე - 1149,4 ათასი ლარი, ხოლო თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრიდან მიღებული შემოსავალი 1,3 მლნ ლარია.

სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული ეკონომიკური რეფორმის საინფორმაციო ცენტრი

"ᲨᲐᲕᲘ ᲝᲥᲠᲝ" ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ



ჩვენდა საუბედუროდ, საქართველო ნავთობის ქვეყანა არასოდეს ყოფილა. ახლა ბევრი იტყუებს თავს და ღიად აცხადებს, რომ ჩვენს მიწაზე დიდი რაოდენობით რესურსია დაგროვილი. ფართო საზოგადოებისათვის უცნობია, რა გამოთვლებს ეყრდნობა მსგავსი განცხადებები, მაგრამ ერთი ფაქტია, აღნიშნულ საკითხზე ამ საქმის სპეციალისტმა უნდა ისაუბროს და არა ექიმმა ან პოეტმა.

როდესაც ტელევიზორიდან სანდომიანი სახე გვიყურებს და გვეუბნება, რომ ამა და ამ საბადოს მარაგი 25-30 მილიონი ტონაა, უნებურად გაგეცინება. საქმე ისაა, რომ აღნიშნული მარაგი შეიძლება აქ თეორიულად მართლაც არსებობდეს, მაგრამ პრაქტიკულად მხოლოდ 2-2,5 მლნ ტონის ამოღება შეიძლება მოხერხდეს. დანარჩენი ან ქანებში გაიწოვება ან ძლიერ გაწყალებული აღმოჩნდება.

ჭუვეიტის საბადოები სწორედ იმითაა ეფექტური, რომ ქანებში არსებული მარაგის თითქმის 80-82 პროცენტის მოპოვებას ახერხებენ. ჩვენთან სხვა სიტუაციაა და ამაზე ფაქტებიც მეტყველებენ.

ნოემბრის ბოლო დეკადაში მოპოვებული იქნა სულ 8,9 ათასი ტონა ნავთობი, რაც მართალია 10%-ით ჩამორჩება ორი დეკადის მაჩვენებელს, მაგრამ ეს დასამშვიდებლად არ გამოდგება. აღნიშნულ 8-9 ათასი ტონა, როგორც გამოკვლევები ცხადყოფს, საშუალო წლიურ დეკადურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად (რამდენჯერმე!) აღემატება.

არის კიდევ ერთი პრობლემა.

გაზსადენის დაზიანების გამო კვლავ არ ხდება ნავთობის თანამდევი გაზის ტრანსპორტირება.

ყველაზე დიდი სატკივარი კი ის არის, რომ საქართველოში არ ხდება ნავთობის გადამუშავება (ბათუმის დენიკინისდროინდელ ქარხანას თუ არ ჩავთვლით) და ნედლეული ექსპორტზე გადის.

ალბათ, ერთგვარ ღიმილსაც კი იწვევს ეს კომპეტენტურ პირებში. თვეში სულ 30 ათას ტონამდე ნავთობს მოიპოვებ და ისიც სადღაც სხვაგან გაგაქვს. ნუთუ ასე ძნელია საკუთარი სახსრებით თუ არა, ინვესტორის დაბანდებებით ერთი პატარა გადამამუშავებელი ქარხნის აშენება? ამ შემთხვევაში ნედლეული სრულად გადამუშავდება და ოცდაათამდე დასახელების მრავალი ხარისხის ნავთი, ბენზინი, დიზელი და ა.შ. მზა პროდუქციას ვაწარმოებთ.

იქნებ ვიღაცას არ აწყობს აღნიშნული პროცესის დაწყება? ისე, ჩვენში დარჩეს და, ნედლეულის გატანისას უფრო სწრაფად შეიძლება ხელის მოთბობა ათასგვარი "ჩამოწერა-დაკარგვების" და "აორთქლების" საშუალებით.

ᲛᲐᲛᲘᲐ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ

საქართველოს მოსახლეობა იმდენად შეეჩვია ეროვნული ვალუტის "დაუმარცხებლობას", რომ მისი კურსის ნებისმიერი ცვალებადობა ოპტიმისტებში გაკვირვებას, ანგირეფორმატორებში კი - სიხარულის ყიჟინას იწვევს.

მსგავსი სიტუაცია შეიქმნა ორიოდე კვირის უკანაც, როცა ე.წ. "შავ ბაზარზე" ერთი დოლარი 1,291-1,292 ლარი ღირდა. ხალხი შეჩვეული იყო, რომ ლარის კურსი 5-6 კვირის განმავლობაში 1,281-1,283-ს არ ასცილებია დოლართან მიმართებაში.

განვლილ კვირაში შიდა საგალუტო ბაზარზე ლარის ბანკნოტური კურსი აშშ დოლარის მიმართ კვლავ სტაბილური იყო.

თბილისის ბანკთაშორის საგალუტო ბირჟაზე მიმდინარე კვირის ბრუნვამ 2,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც თითქმის მთლიანად ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებზე მოდის. დაფიქსირებული ოფიციალური კურსი კვირის განმავლობაში არ შეცვლილა და კვირის ბოლოს 1 აშშ დოლარი - 1,28 ლარის მაჩვენებელზე დაფიქსირდა.

გაიმართა ეროვნული ბანკის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონი.

სამშაბათს თანხების განთავსების ვადა 1 კვირით განისაზღვრა. გარიგებათა საერთო მოცულობამ 940 ათასი ლარი, ხოლო დაფიქსირებულმა საპროცენტო განაკვეთმა 13% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი თანხა ეროვნულმა ბანკმა გაყიდა.

ხუთშაბათს გამართული ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე თანხების განთავსებამ 1 თვე, გარიგებათა საერთო მოცულობამ 78 ათასი ლარი, ხოლო დაფიქსირებულმა საპროცენტო განაკვეთმა 31% შეადგინა. ამჯერად ეროვნულ ბანკს აუქციონში მონაწილეობა არ მიუღია.

ლარის კურსის ცვალებადობა ალბათ არც მომავალშია მოსალოდნელი. მართალია, შობა-ახალი წლის მოახლოებასთან ერთად ფასები იმატებს, რაც ინფლაციის მიზეზი შეიძლება გახდეს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ წლის ბოლოს იურიდიული პირები ცდილობენ გადაიხადონ ბიუჯეტთან დავალიანებები და სხვა გადასახადები. იგივე შეიძლება ითქვას მოსახლეობაზეც, რომელიც ახალი წლის პირველ დღეებში ბანკში სირბილს კომუნალური გადასახადის დეკემბერში გადახდას ამჯობინებს.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ

ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲚᲐᲒᲛᲐᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ

საქართველოში საბჭოთა კავშირის პერიოდში იყო დრო, როცა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტის თითქმის 40%-ს მსუბუქი მრეწველობის დარგი ავსებდა. თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნედლეულის 95% საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და შორეული საზღვარგარეთიდან მოდიოდა. ერთი სიტყვით, ამ დარგის ხელმძღვანელობის ვიშვიში, რომ ნედლეულს ჩვენ არ ვაწარმოებთ და უცხოეთიდანაა შემოსატანი, თავის მართლებად არ გამოდგება.

თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა საწარმომ გამოძებნა რესურსები და მართალია არა გრანდიოზული, მაგრამ სტაბილური დატვირთვით მუშაობს.

დამაკმაყოფილებელი შედეგები აქვთ სამკერვალო მრეწველობის საწარმოებს. ნოემბრის განმავლობაში ოქტომბრის მაჩვენებელთან შედარებით წარმოების მოცულობა 25%-ით გაიზარდა.

საქართველოს ეკონომიკა, მიუხედავად სასიკეთო ძვრებისა, დღეს მაინც არასახარბიელო მდგომარეობაშია და წარმოების ასე გაზრდა, თანაც ზამთრისპირა პერიოდში იმის იმედს იძლევა, რომ აღნიშნული საწარმოები იანვარ-თებერვლის პერიოდში არ გაჩერდება.

ასევე წარმოების ზრდა შეინიშნებოდა შალის მრეწველობის - 12% და აბრეშუმის მრეწველობის საწარმოებში.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტის საწარმოების მიერ ნოემბერში წარმოებულია 1,2 მლნ ლარის ღირებულების პროდუქცია. ეს ოქტომბრის მაჩვენებელს 16 პროცენტით აჭარბებს.

აღნიშნული ციფრი მნიშვნელოვნად აღემატება 1996 წლის საშუალო თვიურ მაჩვენებელს. ცნობისათვის, საშუალო თვიური წარმოება 890-910 ათას ლარს შეადგენს.

ეს უდავოდ წინსვლის მაჩვენებელია. საწარმოთა ხელმძღვანელები, ეტყობა მიხვდნენ, რომ სახელმწიფოსათვის შეღავათიანი პირობებისა და კრედიტების "გამოტყუებას" (თუმცა, ეს "გამოტყუება" ჯერ ძალიან ცოტა ვინმემ თუ შესძლო) პირადი ინიციატივით პარტნიორების ძებნა სჯობს.

როგორც ხედავთ, შედეგმაც არ დააყოვნა.

მერიდიანი

მსოფლიო ეკონომიკა

მევახშე და მასთან "თამაშის წესები"

ფულის სასწრაფოდ შოვნის აუცილებლობა ყველას შეიძლება მოულოდნელად გაუჩნდეს. ფულის სასესხებლად შეიძლება მიმართოთ ბანკს ან ლომბარდს, ან შეაწუხოთ ნაცნობ-მეგობრები, მაგრამ ყველაზე უბრალო და სწრაფი საშუალება, ალბათ მისი მევახშისგან აღებაა. ეს გზა საკმაოდ დიდი ხნის წინათ იყო ცნობილი და დღესაც ძალზე პოპულარულია. მევახშეებს თავიანთი ცხოვრება და "თამაშის წესები" აქვთ, ამიტომ თუ თქვენ მართლაც გაგიჩნდათ ფულის სესხების სურვილი, აუცილებელია გაეცნოთ ამ წესებს და მხოლოდ შემდეგ ჩაებათ "თამაშში".

მევახშეებზე შეხედულება ჩვენში საკმაოდ სტერეოტიპულია. ზოგიერთები თვლიან, რომ მევახშეობა კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. თუ მართალია ეს, მაშინ რატომ მიმართავენ ადამიანები ფულის სასესხებლად მევახშეს?

ბინის გირაოში დატოვება ბანკში გაცილებით ნაკლებად სარგებლიანია, ვიდრე ამავე ბინის მევახშესთან დაგირავება. თქვენს გადახდისუნარიანობას მევახშე აფასებს იმ პიროვნების რეკომენდაციის მიხედვით, ვინც დაგაკავშირათ მასთან. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სარგებლობს იგი შემოწმების საკუთარი მეთოდებით. არავისთვის არაა საჭირო მევახშესთან ნასესხები ფულის შესახებ ანგარიშის ჩაბარება და აქედან გამომდინარე, თქვენი მოგების შესახებაც არავინ იცის. სწორედ გადასახადების დამალვის შესაძლებლობა (მათ შორის მოგების და საშემოსავლო გადასახადის) უბიძგებს ადამიანებს მიმართონ მევახშეს. მეორე მხრივ, არსებობს ჯგუფი მდიდარი ადამიანებისა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თავიანთი ფულის ბანკის პროცენტზე უფრო მაღალი განაკვეთით დაბანდებით. ისინიც ხშირად ამ ოპერაციებს მევახშეების საშუალებით ახორციელებენ.

დღეისათვის მევახშისგან თანხა შეიძლება ისესხოთ თვეში 5%-დან 10%-მდე დარიცხვით. იშვიათად, ძალიან ახლობლებისათვის, მევახშე შეიძლება 4%-ს დაკაბულდეს. თანაც, როგორც წესი, მაქსიმალურ 10%-იან დარიცხვას მაშინ ითხოულობს, თუ თქვენი გარანტიები მას საეჭვოდ ეჩვენება. პრინციპში, გადასახდელი პროცენტი მაინც მერყევი ციფრია და შეიძლება ზოგ შემთხვევაში მან 10%-ზე მეტიც შეადგინოს, ამავე დროს თითქმის არაა დამოკიდებული ნასესხებ თანხაზე. ცხადია, თუ თქვენ სესხულობთ 50 ათას დოლარზე მეტს, მევახშე შეიძლება დათანხმდეს პროცენტის შემცირებაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ხდება. ტრადიციულად, ყველაზე მაღალი პროცენტებია დიდი თანხის მცირევადიან სესხებზე. აქ ალბათ, საქმე უფრო ფსიქოლოგიურ ფაქტორთან გვაქვს. მევახშის აზრით, თქვენს მიერ მცირე დროით დიდი თანხის სესხება, რაიმე ოპერაციის გაანგარიშებულ მომგებიანობასთანაა დაკავშირებული. ამასთანავე მევახშე უპირატესობას, რა თქმა უნდა, მუდმივ კლიენტებს ანიჭებს, მაგრამ კარგი ნაცნობებისათვის ან მათ მიერ რეკომენდირებულ პირთათვის, ფულის სესხების წესები თითქმის არ იცვლება. განსაკუთრებით მომგებიანია მევახშესთან ურთიერთობა კერძო სავაჭრო ფირმებისათვის, რომელთაც საჩქაროდ სჭირდებათ მცირე თანხები (ორი, ხუთი, ათი ათასი დოლარი) რაიმე კომერციული ოპერაციის ჩასატარებლად. ხშირად ფირმებს ბანკში საბუთების გაფორმების დროც კი არა აქვთ. შესაძლებელია, ფირმას სულაც ბრუნვაში ჰქონდეს გაშვებული და არ შესწევდეს უნარი გირაოდ შესთავაზოს ბანკს რაიმე მატერიალური ფასეულობა.

როდესაც საქმე დგება გაცილებით დიდ თანხებზე, მევახშეს შეიძლება საკუთარი ფული არ ეყოს. ამ დროს იგი თანხას სხვისგან ისესხებს უფრო დაბალი პროცენტით, ვიდრე თქვენ გაძლევთ სესხად. გასათვალისწინებელია, რომ დიდი ფულის სესხებისას, იგი აუცილებლად გამოარკვევს, თუ რა ქონების პატრონი ბრძანდებით. უბრალო გარანტიებს ამ შემთხვევაში მევახშე არ დაჯაბულდება.

ასეთი ადამიანები ხელწერილს ყოველთვის ნებისმიერ მცირე თანხაზეც კი იღებენ, რადგან მასში კრედიტორთან ანგარიშსწორების წესებია ჩამოყალიბებული. საერთოდ მევახშეები პრაქტიკული ხალხია. სადიზმი და კრიმინალი მათ არ ჭირდებათ. ძალას ისინი იყენებენ მხოლოდ მაშინ, როცა სესხის დაბრუნების ყველა ვადა გავა და თქვენ თანხის გადახდის უნარი მაინც გაგაჩნიათ.

პროფესიონალ მევახშეებს მუდმივი კლიენტების წრე ჰყავთ. როცა კლიენტს მიჰყავს ახალი პიროვნება მევახშესთან, ის თავის თავზე იღებს ვალდებულებას, რომ თუ მიყვანილმა პიროვნებამ ვალი ვერ დააბრუნა, იგი თვითონ გადაიხდის ვალს და ამ შემთხვევაში ვალის ამოღება მსესხებლისაგან მევახშის მოვალეობას არ წარმოადგენს. როგორც წესი, მევახშე სესხს ერთი თვით იძლევა. გადაცილების შემთხვევაში შეიძლება მოლაპარაკება, თუ კლიენტი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე შეატყობინებს თავისი პრობლემების შესახებ მევახშეს, ჯარიმის სახით ჩვეულებრივ ხდება ჩვეულებრივზე რთული პროცენტის დარიცხვა. თანაც არა პირველადი თანხიდან, არამედ პირველადს ემატება სასესხო პროცენტი და კიდევ ახალი შეთანხმების პროცენტი. რა თქმა უნდა, მევახშე უსასრულოდ არ გადაგივადებთ თანხის დაბრუნებას. როცა ვალი მიაღწევს გარკვეულ, მისი მოსაზრებით, თქვენთვის ზღვრულ სიდიდეს, იგი შეეცდება მის ამოღებას.

დიდი თანხების სესხად აღება მევახშისაგან გარკვეული რისკის გაწევას გულისხმობს, ამიტომ ამჯერად სესხის ამღებისაგან მოითხოვენ გირაოდ უძრავი ქონების (სახლების, აგარაკების) დატოვებას. ჩვეულებრივად ფორმდება ხელშეკრულება უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ მისი გარკვეული დროის შემდეგ, უკან გამოსყიდვის უფლების დატოვებით. ამის მაგვარი ხელშეკრულებები ფორმდება ბანკიდან სესხის აღების შემთხვევაშიც. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშუალოდ მევახშესთან გაფორმებული ხელშეკრულება, როგორც უძრავი ქონების შეფასების, ისე სასესხო პროცენტების სიდიდის მხრივ, კლიენტისათვის გაცილებით მომგებიანია. მართალია, ყოველთვის არსებობს უბრალო თაღლითობის საშუალება, რომლისგანაც არავინაა დაზღვეული. ხელშეკრულება იდება, ფული კლიენტს გადაეცემა და შემდეგ შანტაჟის, ქურდობის ან ბანდიტური თავდასხმის შედეგად უკან უბრუნდება სესხის მიმცემს. ბოლოს, როცა ცნობილი ხდება, რომ კლიენტს არა აქვს ფულის დაბრუნების საშუალება, მას უძრავ ქონებასაც ართმევენ. ამიტომ მსესხებელი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა აგირავებს უძრავ ქონებას.

ერთი სიტყვით, თითოეულ ჩვენთაგანს ჰყავს ნაცნობები ან ნაცნობის ნაცნობები, რომლებიც იცნობენ საიმედო მევახშეებს. ეს ძალიან კარგია, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ "იატაკქვეშეთის" საკრედიტო ბიზნესს ბევრი ჩვენთაგანი მხოლოდ ყურმოკვრით იცნობს და იგი კანონით არაა რეგლამენტირებული, ამიტომ მევახშესთან ურთიერთობაც კრიმინალისაგან არაა დაზღვეული, სადაც კანონი ვერ გიცავთ, იქ ფართო ასპარეზია გაშლილი ბოროტმზრახველთათვის.

იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი ფული გაქვთ და გსურთ თქვენთვის სასარგებლოდ მისი დაბანდება იგივე ნაცნობ-მეგობრების საშუალებით, კარგად აწონ-დაწონეთ ყველა, თუნდაც ხელსაყრელი წინადადება. ბოროტმზრახველთათვის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თქვენ თანხა გაქვთ, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი არქონების ინფორმაცია. ნებისმიერი საუბარი თქვენთან სესხზე ან პირიქით - გასესხებაზე, შეიძლება საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად კი არ ხორციელდება, არამედ თქვენი შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საჯარიმო პროცენტების შესახებ მოლაპარაკება წინასწარ ხდება. თუ მევახშე წინასწარ არ გითანხმდებათ საჯარიმო სანქციებზე, სჯობს მისგან ვალი არ აიღოთ, რადგან საბოლოო შედეგი შეიძლება თქვენთვის სავალალო გამოდგეს. საერთოდ, თუ ჯარიმა გადაცილებულ დღეზე 3%-ს აღემატება, სჯობს ვალი საერთოდ არ აიღოთ. ნორმალურად ითვლება დღეში 1,5%.

სასესხო ხელშეკრულებები ჩვეულებრივ ნოტარიულად ფორმდება. ეს ხელშეკრულებაა და არა უბრალო ხელმოწერილი ბარათის დამოწმება. თანხა აუცილებლად ნაჩვენები უნდა იყოს ლარებში. დოლარი, როგორც საზომი ერთეული, საერთოდ უნდა დაივიწყოთ. ხელშეკრულება შეიძლება გირაოს გადაცემითაც გაფორმდეს. ხელშეკრულებაში შედის გირაოს შეფასების თანხა და მისი შესრულების ვადები. ამ დროს აუცილებელი ხდება მითითება, თუ რომელი მხარე განახორციელებს საგირავნო ფასეულობის შენახვას. გირაოს საფასური და სესხად გაცემული თანხის ურთიერთშესაბამისობის შეფარდება არ შედის ნოტარიუსის კომპეტენციაში. ყველაფერი მხარეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდება.

საბოლოოდ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ზემოთაღწერილი "თამაშის წესები" ეხება მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც უნდათ თამაში. თუ თქვენ ბუნებით რისკიანი პიროვნება არა ხართ, არ გირჩევთ ჩაბმას. საჭიროების შემთხვევაში თქვენი ბინა სჯობს დააგირაოთ სოლიდურ ბანკში და არავითარ შემთხვევაში არ მიმართოთ ფულის სასესხებლად მევახშეს. ასევე, ნუ ანდობთ თქვენს თანხას უცნობ პირებს, მითუმეტეს, თუ ისინი შესაბამის გარანტიებს არ წარმოგიდგენენ. საერთოდ კი, სანამ თამაშში ჩაებმებით, გაეცანით "თამაშის წესებს". კარგად დაუფიქრდით თითოეულ თქვენს ნაბიჯს, სანამ მევახშეს მიაკითხავდეთ და სესხის აღება-მიცემის ოპერაციას დაიწყებდეთ.

სოლომონ ჯღამაძე

ოქრო გაიაფდა

გასული კვირის განმავლობაში ამ ლითონის ფასი შედარებით დაეცა და 368 დოლარი შეადგინა. დილერები თვლიან, რომ დოლარის კურსის კოტირების შემცირებამ გერმანული მარკისა და იაპონური იენის მიმართ გამოიწვია ოქროს ღირებულების შედარებითი სტაბილურობა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ექსპორტის გაუმჯობესების მიზნით აშშ-ს ხელისუფლება შეეცდება შეაჩეროს მსოფლიო ვალუტების მიმართ დოლარის კურსის დაცემა.

სპილენძის ღირებულება იკლებს

ლონდონის ლითონების ბირჟაზე სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით სპილენძის ფასი 2150 დოლარამდე დაეცა. დილერები ვარაუდობდნენ, რომ ბირჟის საწყობებში ამ ლითონის მარაგის ზრდა უთუოდ გამოიწვევდა მომხდარ ფაქტს, თუმცა, სპეციალისტების აზრით, წლის ბოლომდე სპილენძზე მოთხოვნა მაინც მაღალი იქნება, რაც მისი ღირებულების კვლავ გაზრდას გამოიწვევს.

ალუმინის ფასი სტაბილურია

მისი ფასი ლონდონის ბირჟაზე თითქმის 30 პუნქტით დაეცა და 1508 დოლარი შეადგინა.

დილერები თვლიან, რომ მომავალშიც არაა მოსალოდნელი ამ ლითონის ღირებულების მკვეთრი ცვალებადობა, რადგან გაზაფხულზე მოთხოვნა მაინც არ გაიზრდება და კვლავინდებურად დაბალი დარჩება.

ნიკელის ფასი კვლავ დაბალია

ლითონების ბირჟაზე გასული პერიოდის განმავლობაში მოცემულ ღირებულებამ თითქმის 150 პუნქტით დაიწია და 6790 დოლარი შეადგინა. ეს გასასვლელია ბოლო განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

დილერები ვარაუდობენ, ამ ლითონზე მოთხოვნის შემცირება მალე იმ დონემდე შემცირდება, რომ უახლოეს ორ კვირაში იგი 6600 დოლარამდე გაიაფდება.

ნავთობის ფასი უცვლელია

ნავთობის საერთაშორისო ბირჟაზე ნავთობის ღირებულებამ 23,3 დოლარი შეადგინა. დილერების აზრით, ნავთობის ფასი კიდევ უფრო დაეცემა, თუ ერაყიდან ევროპაში განახლდება ნავთობის მოწოდება. ვარაუდობენ, რომ მისი მოცულობა დღე-ღამეში 550 ათას ბარელს შეადგენს.

შაქრის ღირებულება სტაბილურია

ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით, თეთრი შაქრის ფასმა 297 დოლარი შეადგინა.

საერთაშორისო შაქრის ორგანიზაციის შეფასებით, მომავალ წელს შაქრის მოსავალი დაგეგმილს 3 მლნ დოლარით გადააჭარბებს. დაახლოებით მსგავსი სიტუაცია შეიქმნა მსოფლიოს ბაზარზე 1993 წელს, როცა უხვმოსავლიანობამ კინაღამ მასობრივად გააკოტრა შაქრის მწარმოებელი კომპანიები.

ვალუტის ოფიციალური კურსები

(დსთ და ბალტიისპირეთი)

რესპუბლიკა (ვალუტა)	1$	ცვლილება	რუს.რუბ. 1000	ცვლილება
აზერბაიჯანი (მანათი)	4126.0	-21	750	0
სომხეთი (დრამი)	438.77	+4.41	78.95	+0.5
საქართველო (ლარი)	1.28	0	0.22	-0.005
ბელორუსია (ბელ.რუბ.)	15450.0	+150	2790	+20
ყაზახეთი (თენგე)	72.5	+1	13.6	0
ყირგიზეთი (სომი)	16.8	-0.05	3.044	-0.0152
ლატვია (ლატი)	0.557	+0.003	0.1008	+0.0005
ლიტვა (ლიტი)	4.0	0	0.7241	-0.001
მოლდოვა (ლეი)	4.6767	0	0.8446	-0.0014
რუსეთი (რუბლი)	5525.0	+10	-	-
ტაჯიკეთი (ტაჯ.რუბ.)	312.0	0	54.6	-1.4
თურქმენეთი (მანათი)	4055.0	+5	733.94	+3.58
უკრაინა (გრივნა)	1.885	+0.005	0.341	+0.001
უზბეკეთი (სუმი)	51.05	+0.05	9.24	-0.02
ესტონეთი (კრონა)	12.3452	-0.1764	-	-

მყარი ვალუტის კურსები

	აშშ	ინგლ.	შვეიც.	100 იაპ.	1000 იტალ	გერმ.	ფრანგ.
ფრანგ. ფრანკი	5.2297	8.6620	3.9567	4.6291	3.1251	3.3847	-
გერმან. მარკა	1.5451	2.5591	1.1690	1.3676	1.0119	-	0.2954
იტალიური ლირა	1526.9	2529.0	1155.2	1351.5	-	988.22	291.96
იაპონური იენა	112.97	187.12	85.474	-	73.990	73.118	21.602
შვეიცარ. ფრანკი	1.3218	2.1892	-	1.1699	0.8656	0.8554	0.2527
ინგლისური გირვ.	0.6037	-	0.4567	0.5344	0.3954	0.3907	0.1154
აშშ დოლარი	-	1.6563	0.7565	0.8851	0.6549	0.6472	0.1912

ძირითადი საბირჟო საქონლის ფასები მსოფლიო ბაზარზე

ოქრო ($ უნც)	368.25	ნავთობი ($ ბარელი)	23.03
ალუმინი ($ ტ)	1508.5	ხორბალი	
სპილენძი ($ ტ)	2130	(ინგ.გირვ. ტ)	94.00
ნიკელი ($ ტ)	6790	თეთრი შაქარი ($ ტ)	297.00

მაინცდამაინც თასის მოპოვება სურთ

პარიზში გაიმართა 1997 წლის პარიზ-დაკარის რიგით მეცხრამეტე რალის მარშრუტის პრეზენტაცია. ტრასის სიგრძეა 8,5 ათასი კილომეტრი. დაყოფილია 15 ეტაპად. იგი პირველად დაიწყება და დამთავრდება სენეგალის დედაქალაქ დაკარში. საინტერესოა ის, რომ რალიში მონაწილეთა შორის წინასწარგანაცხადებში არ ჩანს ამ სუპერგადარბენის უცვლელი ფავორიტის "სიტროენის" არცერთი პილოტი. ჯერჯერობით სდუმან რუსი მრბოლელებიც, რომლებიც ამინდს ადრეც ვერ ჭმნიდნენ. რუსეთის საავტომობილო ფედერაციის მესვეურთა განცხადებით, ეს ფინანსური სიძნელეებით არ არის გამოწვეული. საქმე ის არის, რომ ტექნიკურ რეგლამენტში უთანხმოების გამო, პარიზი-დაკარის რალი ამოღებულია მსოფლიო საავტომობილო ფედერაციის თასის გათამაშების კალენდრიდან. ეტყობა, რუს მრბოლელებს მაინცდამაინც თასის მოპოვება სურთ და სხვა ღონისძიებებისათვის თავის შეწუხება არ უნდათ.

პრემია ზედიზედ დაიმსახურა

როგორც ვიუწყებოდით (№9.1996 წ.) ჯესი ოუენსის პრემიის პრეტენდენტთა სია საკმაოდ გრძელი იყო, მაგრამ ძირითად კანდიდატად მაინც მაიკლ ჯონსონს ვასახელებდით.

მსოფლიოს საინფორმაციო წყაროების ცნობით, პრემია მართლა მიენიჭა თანამედროვეობის გამოჩენილ მორბენალს მაიკლ ჯონსონს და გეილ დივერსს.

ჯონსონი ერთადერთი მძლეოსანია, რომელიც ზედიზედ დაეუფლა ოუენსის ტრადიციულ პრემიას. დამსახურებულიც არის. მან ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ორი ოქროს მედალი მოიგო და 200-მეტრიან დისტანციაზე ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა (19,32 წამი), რასაც ჯერ ვერავინ გადააჭარბა.

ქალებს შორის პრემიის ლაურეატიც ამერიკელი სპორტსმენია. ისიც ერთხელ (1993 წელს) უკვე ფლობდა ამ პრიზს. ამდენად, გეილ დივერსმა გაიმეორა ჯეკი ჯონერ-კერსის მიღწევა. ისიც ორჯერ ფლობდა ოუენსის პრემიას.



"რივერ პლეიტი" წელში არ გატეხილა

საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში ტურნირის "იუვენტუსთან" დამარცხების შემდეგ არგენტინის მრავალგზის ჩემპიონი "რივერ პლეიტი" წელში არ გატეხილა და ტოკიოდან (თასი აქ გათამაშდა) დაბრუნების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონატში ზედიზედ სამი მატჩი მოიგო. ბოლო ტურში სტუმრად "ოლ ბოიზი" დაამარცხა (1:3) და პრაქტიკულად პირველ ადგილს ჯერ არავის უთმობს. მეორე ადგილზე მყოფი "ინდეპენდიენტე" ლიდერს 6 ქულით ჩამორჩება.

არჩევანი მე, არადანი – შენ

ტომბა ორ ცეცხლს შუა იწვის

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ალბერტო ტომბამ მისი თაყვანისმცემლები საგონებელში ჩააგდო. ერთ-ერთი შეჯიბრების დროს ამ სახელგანთქმულმა მოთხილამურემ მუხლი დაიზიანა და თვითონვე განაცხადა, რომ ექიმების დასკვნით, უსათუოდ იასპარეზებდა დეკემბრის შეჯიბრებებში. ეს თვე კი იწურება და ტომბა სათხილამურო ტრასაზე ჯერ არ გამოჩენილა, თუმცა ამბობენ, რომ ინტენსიურად ვარჯიშობს დახურულ დარბაზში.

გულშემატკივრებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ტომბა რაღაცას ეშმაკობდა. ვარაუდი გამართლდა. აღმოჩნდა, რომ ტომბა ემზადება... ჰოლივუდისათვის. მას გადაიღებენ ახალ სერიალში "Snowball".

თაყვანისმცემლები იმედოვნებენ, რომ კინომსახიობობაზე მეოცნებე ტომბა მაინც გამოვა მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე, რომელიც ამ დღეებში სწორედ იტალიაში ტარდება.

ტომბას ახლა 30 წელი უსრულდება და გათამაშების ამ ეტაპზე გამარჯვება კარგი საჩუქარი იქნებოდა დაბადების დღისათვის.

ბეკერი ისევ დაწინაურდა და ...

პროფესიონალ ჩოგბურთელებს შორის ანაზღაურების მიხედვით ყველაზე მდიდართა სიას სათავეში კვლავ გერმანელი ბორის ბეკერი ჩაუდგა. მიმდინარე წელს მან უკვე "გამოიმუშავა" 4313007 დოლარი. მეორეა ამერიკელი პიტ სამპრასი - 3702919 დოლარი, მესამეზე რუსი ევგენი კაფელნიკოვია - 3363365 დოლარი.

უმდიდრეს ჩოგბურთელთა შორის შვიდი ამერიკელია, 2 - ავსტრალიელი, თითო -რუსი, ავსტრიელი, ხორვატი, ინგლისელი და ა.შ. ოცეულის ბოლოშია ჩილელი მარსელო რიოსი, რომელმაც მხოლოდ 825678 დოლარის მიღება "მოახერხა".

უზბეკებს არ გაუმართლათ

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ამ დღეებში ტარდება აზიის ჩემპიონატი ფეხბურთში. აქ თანამეგობრობის ქვეყნებიდან მხოლოდ უზბეკეთის ნაკრები მონაწილეობდა და მასაც დიდი პრეტენზიები ჰქონდა - ჩემპიონობა. სამწუხაროდ, უზბეკთა ვარაუდი საქმით განმტკიცებული არ აღმოჩნდა, მათ ქვეჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს და ფინალს ვინ ჩივის, ნახევარფინალშიც ვერ გააღწიეს.

...ახლა ტიტული უნდა დაიცვას

ავსტრალიის ქალაქ კოიონგში ბეკერი იასპარეზებს საჩვენებელ ტურნირში, რომელიც მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენს ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წინ. ჩემპიონატი გაიმართება მომავალი წლის 8-11 იანვარს. ბეკერი ავსტრალიის ჩემპიონატის შარშანდელი გამარჯვებულია და ეცდება ეს წოდება კვლავაც შეინარჩუნოს.

საჩვენებელ ტურნირში ბეკერთან ერთად იასპარეზებენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი, მისი თანამემამულეები ჯიმ კურიე და მაიკლ ჩანგი, რუსი ევგენი კაფელნიკოვი. ტურნირის ერთ ვაკანტურ ადგილს შეავსებს ან ავსტრიელი თომას მუსტერი ან გერმანელი მიხაელ შტახი. თუ რომელი - ეს დეკემბრის ბოლომდე გაირკვევა.

მოტომრბოლის სახელი დაარქვეს

აქამდე საქვეყნოდ სახელგანთქმულ საათებს ერქვათ "კარტიე", "პაველ ბურე" და სხვ. ახლახან კი შვეიცარულმა ფირმამ SMH-მა გამოუშვა საათების ახალი კოლექცია, რომელსაც "მიკი დუენი" უწოდა, რითაც სამუდამოდ უკვდავყო ველოორბოლაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ავსტრალიელი მოტომრბოლის სახელი, რომელიც ასპარეზობდა მანქანით, რომელიც მცირე ოდენობით იყო გმოშვებული და რომლის ძრავის მოცულობა 500 კუბური სანტიმეტრი იყო.

ზოგს დედოფალი ართმევს ხელს, ზოგს პრეზიდენტი...

სპორტსმენებისადმი ყურადღების მხრივ ამ ბოლო დროს ძალიან გამოიჩინეს თავი ინგლისელებმა და ფრანგებმა.

ლონდონში, ბუკინჰემის სასახლეში ინგლისის დედოფალმა ელისაბედ მეორემ მიიღო ევროპულ ტურნეზე ავსტრალიიდან ჩამოსული რაგბისტები და თითოეული მათგანი დედოფლური ხელის ჩამორთმევით "დაჯილდოვა".

ელისეს სასახლეში კი საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ჩოგბურთელებს მასპინძლობდა. აქ პრეზიდენტს საამაყო მეტი ჰქონდა, ვიდრე ინგლისის დედოფალს. ფრანგმა ჩოგბურთელებმა დევისის თასის გათამაშებაში იმარჯვეს და მაშინვე ეროვნულ გმირებად იქცნენ. ბოლო 20 წლის განმავლობაში ფრანგი ჩოგბურთელები მესამედ დაეუფლნენ ამ სატიტო პრიზს და, ცხადია, სპორტისმოყვარული პრეზიდენტის განსაკუთრებული ყურადღებაც დაიმსახურეს.

აი, ინგლისელ დევიდ ჰილს კი ნამდვილად არ გაუმართლა. იგი "ფორმულა -1" კლასის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ პრიზი მხოლოდ FIA-ს პრეზიდენტის ხელიდან მიიღო.

კროსვორდი



თარაზულად: 1. ფაშისტური გერმანიის გავლენიანი სამხედრო პირი. 5. ავთვისებიანი სიმსივნე. 11. სამცხის მმართველი 1285-1306 წ. წ. 12. ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა. 13. ეკლიანი ბალახოვანი მცენარე. 14. ბეგი - შემოკლებით. 15. შორისდებული; გამოხატავს ზიზღს ან დაცინვას. 16. გათლილი ძელი, დადებული სახლის ნაწილის (კედლის, სვეტის...) საძირკვლად ან სარტყლად. 17. საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული საფაბრიკო ან სავაჭრო ნიშანი. 20. შუა აზიური სოფლური ტიპის დასახლების სახელწოდება. 22. მეცნიერება წარსულ გეოლოგიურ დროთა და იმ ორგანიზმების შესახებ, რომლებიც შემონახულია ნაშთების სახით. 28. სოკო, რომელიც მოთეთრო, მოყვითალო ან მომწვანო ლაქების სახით უჩნდება კვების პროდუქტებს (ან სხვა საგნებს). 29. საფრანგეთის მეფეთა სახელი. 30. ტაჯიკ მწერალი და მეცნიერი. 31. პირის ღრუში მოთავსებული მოქნილი და მოძრავი კუნთოვანი ორგანო. 32. ლარაკის მსგავსი ჭურჭელი, რომელშიც ინახავენ გარდაცვლილის კრემაციის (დაწვის) შედეგად დარჩენილ ფერფლს. 33. ფრინველი სირაქლემისებრთა ჯიშისა. 36. ხორბლეულის მოსავლის აღება. 37. სოფელი ხაშურის რაიონში. 42. მწერი, რომელსაც აქვს მაგარი ზედა ფრთები და საღრღნელად მოწყობილი პირი. 43. ბელგიელი მწერალი. 47. შავი ნადები ღუმელებისა და საკვამლეების შიგნითა ნაწილებზე; ჩნდება საწვავის არასრული წვის შედეგად. 48. სუსტი, ნელი ქარი. 49. პლანეტა სატურნის თანამგზავრი. 50. ნ. დუმბაძის ნაწარმოების "კუკარაჩას" პერსონაჟი. 51. სოფელი ვანის რაიონში. 52. ნაგებობა, რომლის საშუალებითაც გემები გადაჰყავთ მდინარის ან არხის ერთი უბნიდან მეორეში, სადაც წყლის დონე განსხვავებულია. 53. სოფელი ხონის რაიონში. 54. კუნძული იტალიაში.

შვეულად: 2. სევდისა და წუხილის გამომხატველი ლექსი. 3. შავყურძნიანი ვაზის ახალი ჯიში; გავრცელებულია გურია-სამეგრელოში. 4. ფრანგი მწერალი. 6. მარცვლეულისა და ფქვილის ვაჭარი. 7. მაგარი არომატული სასმელი, რომელსაც ღვინის გამოხდით იღებენ. 8. კრისტალური ნივთიერება. 9. რისამე დამამტკიცებელი ოფიციალური დოკუმენტი. 10. საგანგებო შენობა, სადაც ათავსებენ პატიმრებს - საპატიმრო, საპყრობილე, სატუსაღო. 18. მითიური ციხე-ქალაქი საბერძნეთში. 19. ადამიანის (ცხოველის, ფრინველის) პარაზიტი უფრთო მწერი - მკბენარი. 21. სახელმწიფო შორეულ აღმოსავლეთში. 22. შტატი ჩრდილო-აღმოსავლეთ ბრაზილიაში. 23. გერმანელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი. 24. სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. 25. მოკლე, უვადო, მოხრილი და დრეკადი ხმალი. 26. ფართო ქსოვილის ნაჭერი რაიმე ფერისა (ტარზე დამაგრებული), - ბაირაღი. 27. მევალისათვის ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული ნივთი, ქონება. 34. მდინარე საფრანგეთში, მდინარე ლუარას მარცხენა შენაკადი. 35. XV საუკუნის პირველი ნახევრის უზბეკი პოეტი. 38. მუსიკოს-მომღერალი, მესაკრავე, პოეტი. 39. გერმანელი მწერალი. 40. გერმანელი ავიაკონსტრუქტორი და მეწარმე. 41. ინგლისელი ბიოქიმიკოსი. 43. ფრანგი არქიტექტორი. 44. მსხვილი ფოთლოვანი, მაგარმერქნიანი ხე წიფლისებრთა ოჯახისა; ისხამს რკოს. 45. საშუალო სიმაღლის ხე ვარდისებრთა ოჯახისა; ისხამს ნაჭუჭიან ოვალურ ნაყოფს, რომელიც ბუდეშია მოთავსებული; ნაყოფი იჭმება. 46. სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. აშოტი. 8. ცაგერი. 9. კრებსი. 10. კორეა. 12. ზორო. 13. ირაო. 15. სასა. 18. როქი. 19. სანაცია. 21. ისოსი. 22. ლაოსი. 24. რევანში. 26. კანონი. 27. ბრესტი. 31. იერი. 33. იელი. 35. ელბა. 37. ცუგა. 39. ზონდი. 41. ზომალდი. 42. აკლდამა. 43. ევა. 44. ეტლი. 47. ფენა. 48. კონვენცია.

შვეულად: 1. ფარგალი. 2. ორმო. 4. შტო. 5. ტყე. 6. არია. 7. ასპექტი. 10. კონა. 11. აისი. 12. ზაპოროჟიე. 14. ორთოპედია. 17. ბალანსი. 19. სირია. 20. ალიბი. 23. აკრი. 25. ხილი. 29. ბიაზი. 30. რაცია. 32. ესკორტი. 34. ლოცმანი. 36. ლალი. 38. გული. 40. ნავიე. 45. ხო. 46. პი.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.
„მესაკუთრე" რეგისტრირებულია თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში. სარეგისტრაციო ნომერია 5/4-909.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ავტორებს ვთხოვთ ნუ შეშოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ვრცელ წერილს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.96წ.

მესაკუთრე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ: 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოში" მ.ჯოსტავას ქ. №14

სარედაქციო
კოლეგია